ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი
გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან

№ 6-7 (7017) * 15 მარტი * ორშაბათი * 2010 წელი * ფასი 50 თეთრი

# ყველა დროის საპატიო და ღირსეული მოქალაქე



ხობის მუნიციპალიტეტის სახელით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირშესანიშნავ თარიღს–დაბადების 65-ე და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მე–40 წლისთავს.

ხობის საზოგადოებას ახსოვს საოცარი ენერგიითა და აღმშენებლობის ჟინით შეპყრობილი ახალგაზრდა ხელმძღვანელი, რომელმაც თავისი განსაკუთრებული ინდივიდუალური თვისებებით, ხასიათითა და მონდომებით შეძლო 70- იანი წლების ბიუროკრატიული კონიუქტურის მიუხედავად, მთავრობიდან მოეზიდა ფინანსები და მე-20 საუკუნის 80-იან წლებში გაეშენებინა 21- საუკუნის პატარა ლამაზი ქალაქი, რომლითაც დღეს ჩვენ, ხობელები ვამაყობთ, ესაა ადმინისტრაციული შენობები, სპორტული კომპლექსები, კულტურის სასახლე, მუზეუმი, ქალაქის გამწვანება და სხვა მრავალი. სამწუხაროდ, ავბედითმა სამოქალაქო ომმა ხელჰყო და გაანადგურა ზოგიერთი მათგანი, რაზედაც თქვენ, ყველაზე მეტად შეგტკივათ გული...

გპირდებით, დღევანდელი ხელისუფლება მალე პირვანდელ სახეს დაუბრუნებს თქვენს მიერ სიყვარულით ნაშენებ სპორტულ კომპლექსს.

ჩვენ გვჯერა, რომ გახარებთ ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის პროცესი და ამიტომაც უდიდესია თქვენი დღევანდელი წვლილი ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების სულიერი განვითარების სფეროში.

ბატონო ნუგზარ, თქვენ დამსახურებულად მოიპოვეთ ხობელთა საზოგადოებრივი აღიარება, ხობის ისტორიაში თქვენ დარჩებით, როგორც ყველა დროის ერთ-ერთი საპატიო და ღირსეული მოქალაქე.

ხობელები თქვენთან ერთად მრავალჯერ იდღესასწაულებენ თქვენს მიერ დამკვიდრებულ, ტრადიციადქცეულ „ცოტნეობას“.

მადლობას გიხდით მხურვალე გულისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, კეთილდღეობასა და ბედნიერებას თქვენს ღირსეულ ოჯახთან ერთად.

პატივისცემით

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა.

# ძველ ხიბულაში ხიდის აღდგენა უახლოეს დღეებში დასრულდება

2009 წლის აგვისტოს თვეში კოკისპირული წვიმების შედეგად ადიდებულმა მდინარემ ძვ.ხიბულის ხიდი დააზიანა, ჩამორღვეულიქნა საყრდენი ბურჯი, რის გამოც ხიდზე მოძრაობა შეუძლებელი გახდა და მოსახლეობა უგზოობის გამო მოწყვეტილი იყო მუნიციპალიტეტის ცენტრს, მიუხედავად გამგეობის დროული რეაგირებისა და ძალისხმევისა, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო დაზიანებული ხიდის აღდგენა დღემდის დაგვიანდა.



ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებამ 46 244 ლარი შეადგინა. დაფინანსება ადგილობრივი ბიუჯეტიდან მოხდა.

ხიდის აღდგენა უახლოეს დღეებში დასრულდება და ძველხიბულელებს ექნებათ საშუალება მდინარე ჭანისწყალზე ორი ძველი და ახალი ხიდით, რომელიც საჯიჯაოში ახლახან გაიხსნა, გარესამყაროს დაუკავშირდნენ.

# დევნილები ახალგარემონტებულ ბინებში გადადიან

18 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი იგორ ტყებუჩავა დევნილებს შეხვდა, რომლებიც კომპაქტურად არიან ჩასახლებული ქ.ხობის სამუსიკო სკოლის, №1 საბავშვო ბაღის, სკოლა–ინტერნატისა და ყოფილი „რაიკომის“ შენობაში.

შეხვედრას ესწრებოდნენ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხობის რაიონული ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი კახა ბუკია, გამგეობის რწმუნებული ქ.ხობში კარლო ჯობავა.

გამგებელმა დევნილებს ამცნო, რომ სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის შესაბამისად უკვე მზად არის ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დევნილთა კომპაქტური ჩასახლებისათვის პროფ.სასწავლებლისა და სკოლა-ინტერნატის რეაბილიტირებული ობიექტები, სადაც დევნილთა გადასვლა საცხოვრებლად აპრილიდან დაიწყება.

№ 1 საბავშვო ბაღში ჩასახლებულმა ოჯახებმა თანხმობა განაცხადეს პროფსასწავლებელში გადასვლაზე, მაგრამ სამუსიკო სკოლისა და „რაიკომის“ შენობაში მცხოვრები დევნილების ნაწილი უარს ამბობს ბინებიდან გადასვლაზე და ქალაქის ცენტრალურ ტერიტორიაზე განსახლებას მოითხოვენ.



გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ კიდევ ერთხელ განუმარტა მათ, რომ ბინების განთავისუფლებაზე შეთანხმება აუცილებლად უნდა განხორციელდეს, რათა სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფმა სტრატეგიულმა ობიექტებმა ფუნქციონირება დანიშნულებისამებრ დროულად დაიწყონ.

# ფეხბედნიერი იყოს ეს გაზაფხული...

„გაზაფხული შემოსულა, ლენ! რიარია აუტეხავთ ჩიტებს...“ მართლაც, გაზაფხულის პირველ დღეს აფეთქებული კვირტების, ყოჩივარდების, იების და ენძელების სურნელი გვატკბობდა ყველგან, მაგრამ სოფელ პირველ ხორგაში, ძველ ხიბულაში, პატარა ფოთსა და ზემოქვალონში, უფრო ძალუმად.

საბავშვო ბაღის გახსნაზე საპატიო სტუმრებს ელოდნენ... აქ შეკრებილიყვნენ მშობლები, სოფლის აქტივი, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ხელმძღვანელები. ვერ გაარჩევდი რომელს უფრო ახარებდა ეს დღე – პატარებს თუ მათ დედებს...

სასიამოვნო სანახავი იყო საზეიმოდ მორთული დარბაზები სათამაშოებით, ავეჯით, კვების პროდუქტებით. საბედნიეროდ, წლები გვაშორებს იმ დროს, როცა ამის წარმოდგენა სიზმრადაც არ შეიძლებოდა...

– მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციისა, ხელისუფლება ცდილობს რეფორმების გზით გააუმჯობესოს მოსახლეობის სოციალური პირობები, ჩვენს მომავალ თაობას შეუქმნას აღზრდის ნორმალური გარემო. დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელს საბავშვო ბაღი შეემატა. ეს არის მცირეოდენი, რაც გასული წლის ბიუჯეტით შევძელით. ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენი უპირველესი საზრუნავია, ყველა სოფელში იყოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება. დღეს 4 სოფელში 80 პატარა შეაღებს ბაღის კარებს, დასაქმდნენ კადრები, რაც უდაოდ, სასიამოვნო ფაქტია, მიხარია ამდენი გაბრწყინებული დიდ–პატარის ხილვა,

## მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში საბავშვო ბაღი გაიხსნა!

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მომავალმა თაობამ იცხოვროს მშვიდ, ნორმალურ გარემოში და, რაც მთავარია გამთლიანებულ საქართველოში, – უთხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ სოფელში შეკრებილ მოსახლეობას.

იმ დღესვე მან მუნიციპალიტეტის ოთხივე სოფელი მოინახულა.

– მინდა უდიდესი მადლიერება გამოვხატო ამ კეთილი საქმის მესვეურებისადმი. 20 წელზე მეტია აღნიშნულ სოფელში არ ფუნქციონირებდა საბავშვო ბაღები. დღეს ახდა წლების ნაოცნებარი,– გვითხრა თავად გაბრწინებულმა სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორმა ქალბატონმა ნორა იოსავამ.

პირველი მარტი პატარების ჟრიამულით გათენდა ჩვენს მუნიციპალიტეტში...

ფეხბედნიერი იყო ეს გაზაფხული...

ნანა კემულარია



## გიორგი ბარამიძე–საქართველო მყარად დგას ნატო–სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე



საქართველო მყარად დგას ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე და სწორედ ამ გზაზე გააგრძელებს სვლას, - ამის შესახებ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ბარამიძემ განაცხადა.

როგორც ბარამიძემ აღნიშნა, ამ მიმართულებით საქართველოს საკმაოდ სერიოზული გეგმები აქვს.

„საქართველოს არაკეთილმოსურნეებისა და პუტინთან დაახლოებულების გადაჭარბებული ხმები, დღეს და ხვალ არ გაგვიღებენ კარს ნატო-სა და ევროკავშირში, ამიტომ ამ გზას თავი უნდა დავანებოთ, აბსოლუტურად ხელმოცარული და საცოდავი ადამიანების პოზიციაა'', – განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, ნატო-სა და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაცია არის ქართველი ხალხის ნება და - არა მხოლოდ მთავრობის მიერ არჩეული გზა.

„მადლობა ღმერთს, რომ ოპოზიციის დიდი ნაწილიც სწორედ ამ პოზიციაზეა და რაც უნდა მოღალატეები გამოჩნდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, ეს კურსი არ შეიცვლება'',- აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

„ინტერპრესნიუსი“

## ამერიკულ არმიაში ქართული და ჩეჩნური ენების შესწავლა დაიწყეს

ამერიკული წყაროების ცნობით, ენები სამ კატეგორიად დაიყო.

პირველ, „უკიდურესად აუცილებელ კატეგორიას მიეკუთვნებიან“: რუსული, ჩინური, არაბული, ფრანგული, კორეული, პორტუგალიური, თურქული, თურქმენული, პუშტუ, დარი და ფარსული ენები.

მეორე, „კრიზისისას და საფრთხის დროს აუცილებელ“ კატეგორიაში შევიდნენ: ქართული, აზერბაიჯანული, ყაზახური, უზბეკური, სერბულ-ხორვატული, ივრითი, ჩეხური, ვიეტნამური და რამდენიმე აფრიკული ენა.

ბოლო, „სხვა კატეგორიაში“ მოხვდნენ: ჩეჩნური, უკრაინული, ყოფილი სსრკ-ს რესპუბლიკებისა და სხვა ენები.

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების ვიცე-პოლკოვნიკის პოლ ვალენსუელას ცნობით, სამხედრო მოსამსახურეებს ზემოხსენებული რომელიმე ენის ცოდნისთვის ხელფასი მოემატებათ. მისი თქმით, საუბარია „ჩვეულებრივ“ სამხედრო მოსამსახურეებზე და არა მზვერავებზე ან თარჯიმანებზე, რომელთა მოვალეობაში შესაბამისი ენის ცოდნა ისედაც შედის.

„მედიანიუსი“

## გერმანია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკას კვლავ გააგრძელებს



გერმანია აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის არაღიარების პოლიტიკას კვლავაც გააგრძელებს. ამის შესახებ სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამომსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე გერმანიის ელჩმა საქართველოში პატრიცია ფლორმა განაცხადა და საკუთარი ქვეყნის სახელით საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარდაჭერა კიდევ ერთხელ გამოუცხადა.

„გერმანია დგას მყარ პოზიციაზე, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის არაღიარებას ეხება. ძალიან სამწუხაროა, რომ საქართველოს იმ დროს ვტოვებ, როდესაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგენილი ჯერ არ არის. ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე, გეტყვით, რომ თუნდაც დაყოფილ მდგომარეობაში დიდი ხნის ყოფნის შემდეგ ქვეყნის გაერთიანება შესაძლებელია. დღეს მე საქართველოს იმ იმედით ვტოვებ, ვნახავ გამთლიანებულ ქვეყანას, სადაც ყველა ადამიანი მშვიდობიანად იცხოვრებს“, - განაცხადა გამოსამშვიდობებელ ბრიფინგზე პატრიცია ფლორმა.

ამასთან, მან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შემუშავებულ სახელმწიფო სტრატეგიაზეც ისაუბრა და იმედი გამოთქვა, რომ გერმანიისა და საქართველოს თანამშრომლობა ამ სფეროში ნაყოფიერად გაგრძელდება.

„ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით იანვარში მიღებული სტრატეგია ჩვენი აზრით, სწორი მიმართულება და სწორი გზაა. იმედი მაქვს, ჩვენი თანამშრომლობა ამ მიმართულებით ნაყოფიერად გაგრძელდება“, - დასძინა პატრიცია ფლორმა.

შეგახსენებთ, რომ პატრიცია ფლორმა საქართველოში გერმანიის ელჩის თანამდებობაზე 4 წლიანი მოღვაწეობა დაასრულა.

„ პირველი“

## ევროკავშირი კონფლიქტებთან მიმართებაში ქართული მხარის მიერ მომზადებულ სტრატეგიას მიესალმება

ევროკავშირი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას კიდევ ერთხელ გამოხატავს და კონფლიქტებთან მიმართებაში ქართული მხარის მიერ მომზადებულ სტრატეგიას მიესალმება.

ამის შესახებ ბრიუსელში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა უსაფრთხოების საკითხებში, უმაღლესმა ბარონესამ კეტრინ ეშტონმა განაცხადა.

„ევროკავშირის პოზიციები უცვლელია. ჩვენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას ძველებურად ვაღიარებთ. ქართული მხარის პოლიტიკა მისაღები და მისასალმებელია. საქართველო ყველაფერს აკეთებს საიმისოდ, რომ რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა შენარჩუნდეს“, - განაცხადა ეშტონმა და დასძინა, რომ „ქართული მხარე შექმნილი ვითარებიდან მყარი გამოსავლის ძიებას კვლავ განაგრძობს“.

„ პირველი“

## საქართველოს პარლამენტში ლიტვის დამოუკიდებლობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „გზა თავისუფლებისკენ“ გაიხსნა“



საქართველოს პარლამენტში ლიტვის დამოუკიდებლობის ოცი წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა „გზა თავისუფლებისკენ“ გაიხსნა.

საგამოფენო მასალებში წარმოდგენილია ლიტველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ლიტვის საბჭოთა ოკუპაციიდან (1940წ) დამოუკიდებლობის აღდგენამდე (1991წ) და აქცენტი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მომენტებზეა გაკეთებული.

როგორც ღონისძიებაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა და ლიტვის საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა ლაიმონას ტალატ-კელპშამ აღნიშნეს, „ლიტვის დამოუკიდებლობის დღის სწორედ საქართველოს პარლამენტში აღნიშვნა ძალზედ მნიშვნელოვანია“.

„გამოფენის სახელწოდება – „გზა თავისუფლებისკენ“ სიმბოლურია, რადგან ის, რაც 1940 წელს ლიტვას დაატყდა თავს, 2008 წელს ნაწილობრივ საქართველოში განმეორდა. ლიტვის მიერ თავისუფლებისკენ განვლილი გზა საქართველოსთვის მისაბაძია, ლიტვამ თავისუფლებას არაფერი არჩია და ის დღეს ევროპული ოჯახის ერთ-ერთი სრულფასოვანი წევრია“ – განაცხადა მაჭავარიანმა.

თავის მხრივ, ლაიმონას ტალატ-კელპშამ ხაზი გაუსვა, რომ „ლიტვა საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ ყველა სფეროში და ყველა მეთოდით იბრძოდა და ისტორიის ამ კრიტიკულ მომენტში მთელი ერი ერთსულოვანი იყო“.

„სწორედ ეს ერთიანობა იყო ის მთავარი დაბრკოლება, რაც საბჭოთა რეჟიმმა ვერ გადალახა“- დასძინა მან.

საგამოფენო მასალები პარლამენტში ერთ კვირას დარჩება.

„ პირველი“

## საქართველო და პარაგვაი დიპლომატიურ ურთიერთობებს დაამყარებს



გაერო-ში საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობის ცნობით, საქართველომ და პარაგვაის რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობების დამყარების შესახებ.

ერთობლივი კომუნიკეს თანახმად, საქართველო და პარაგვაი ორმხრივ ურთიერთობებს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების, მათ შორის ერთმანეთის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენული თანასწორობის პრინციპების შესაბამისად განავითარებენ.

საქართველო აქტიურად აგრძელებს დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ლათინური ამერიკის სახელმწიფოებთან. წელს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა აგრეთვე დომინიკის რესპუბლიკასთან, სენტ-ლუჩიასა და პერუსთან.

სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ მხარეებმა ერთობლივი წერილით აცნობეს გაერო-ს გენერალურ მდივანს ბან კი მუნს.

პარაგვაის რესპუბლიკის მხრიდან ერთობლივ კომუნიკეს ხელი მოაწერა გაერო-სთან პარაგვაის მუდმივმა წარმომადგენელმა ხოსე ანტონიო დოს სანტოსმა, ხოლო, საქართველოს მხრიდან - საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში ალექსანდრე ლომაიამ. ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში.

პარაგვაი მე-9 სახელმწიფოა, ვისთანაც საქართველომ 2010 წელს დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. მანამდე დიპლომატიური ურთიერთობები გაფორმდა აფრიკულ სახელმწიფოებთან - ბოტსვანა, კაბო-ვერდე და ლიბერია; აზია - წყნარი ოკეანეს რეგიონის სახელმწიფოებთან - ბრუნეი და მარშალის კუნძულები.

დღეისათვის გაერო-ს 191 წევრი სახელმწიფოდან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობები დამყარებული 131-თან აქვს.

„ ინტერპრესნიუსი“

## საარჩევნო სიების მონიტორინგი, შესაძლოა, გახანგრძლივდეს

საარჩევნო სიების მონიტორინგი, შესაძლოა, გახანგრძლივდეს. გადამოწმების პროცესი 15 მარტს უნდა დასრულდეს, თუმცა ქრისტიან-დემოკრატები ვადის 10 აპრილამდე გაზრდას ითხოვენ. ინიციტივას დღეს სესიაზე განიხილავენ.

საპარლამენტო უმცირესობის ამ ინიციატივას მხარს უჭერს მმართველი გუნდიც და პარლამენტის ყველა პოლიტიკური პარტიაც. თანხმდებიან, რომ აუცილებელია საარჩევნო სიების მონიტორინგის ვადის გახანგრძლივება და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ 15 მარტის ნაცვლად საარჩევნო სიების მონიტორინგისათვის პოლიტიკურ პარტიებს დრო 10 აპრილამდე ექნებათ.

უკვე ერთ თვეზე მეტია პოლიტიკური პარტიები საარჩევნო სიების გადამოწმებაზე აქტიურად მუშაობენ. მათ ამისათვის ბიუჯეტიდან 100-100 ათასი ლარიც გამოეყოთ და როგორც პარლამენტში აცხადებენ, იმ შემთხვევაში თუკი ვადა გახანგრძლივდა პოლიტიკურ პარტიებს საარჩევნო სიების გადამოწმებისთვის მუშაობის უკეთესი საშუალება ექნებათ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

გაზაფხულის ლამაზ დღესასწაულებზე დგება ჟამი, როცა ბუნების განუმეორებელ და ულამაზეს მშვენიერებას, ზოგადად ქალს, უპირველესად დედებს, მივაგოთ პატივი და მოვეფეროთ...

რალა ჩემია, ხობელთა რძალი, ხელმძღვანელ ქალთა პლეადას ავსებს. მისი გამოცდილება, კომუნიკაბელურობა, ორგანიზატორული ნიჭი და პასუხისმგებლობა ხალხისა და ქვეყნის წინაშე, გამორჩეულია. რაც მთავარია, იგი უპირველესად დედაა...

რედაქციამ გადაწყვიტა, მისთვის მიელოცა ქალთა დღესასწაულები და ახალ ამპლუაში ეჩვენებინა მისი სადღეისო განწყობა ქვეყნის აღმშენებლობაში.



– ქალბატონო რალა, თქვენ წლებია ხელმძღვანელ სამუშაოზე ბრძანდებით. გამგებლის მოადგილედ დანიშვნა, რა თქმა უნდა, მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს, მით უფრო, როცა ოჯახის დედა ბრძანდებით. რას გვეტყვით ამის თაობაზე?

– ყოველთვის ვთვლიდი, რომ ოჯახი უპირველესია, მას ჩემი კარიერისთვის ხელი არასოდეს შეუშლია, პირიქით, ოჯახი და დედობა მაძლევდა ძალას ჩემზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა პირნათლად შემესრულებინა, რადგან ვთვლი, რომ ქალის წარმატებული საქმიანობის საფუძველი ოჯახური ბედნიერებაა.

მასწავლებლობიდან დავიწყე მუშაობა, ყველა სხვა ხელმძღვანელ სამუშაოზე ყოფნა მასწავლებლობას და განათლების სისტემას უკავშირდებოდა, ამ ყველაფერმა მომცა გარკვეული გამოცდილება. ჩემთვის სკოლა და პედაგოგი მოწიწებასა და პატივთან ასოცირდება. სამწუხაროდ, ამჟამად ვერ ვახერხებ პედაგოგიურ საქმიანობას. გამგებლის მოადგილეობა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბევრი სხვა საქმიანობის მსგავსად, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, რაც მავალდებულებს პირადი სურვილები განზე გადავდო და

– ასგზის გამოცდილი თქვენი მუშაობის პრინციპებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?

– ჩემი პრინციპი ყოველთვის იყო – იყავი ობიექტური ყველას მიმართ, მართალი ღმერთისა და სინდისის წინაშე, მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა მოგექცნენ. ყველაფერზე წინ დააყენე ქვეყნის სიყვარული და ინტერესი.

– მიზანს ყოველთვის აღწევთ?

# „ძირითადად მიზანს ყოველთვის ვაღწევ"

დროებით ჩამოვცილდე ჩემს საყვარელ პროფესიას. თუმც ეს არ ნიშნავს იმას, რომ გულგრილი ვიყო განათლების სფეროში მიმდინარე მნიშვნელოვან რეფორმებზე. პასუხისმგებლობასთან ერთად, დღეს, ისე როგორც არასდროს, საჯარო მოხელედ ყოფნა დიდი პატივია, დიდი პატივია იმდენად, რამდენადაც თანამონაწილე ხარ ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების, აღმშენებლობის, დაწყებული დიდი წარმატებული რეფორმების, ეს ყველაფერი კი ეკონომიურად ძლიერი და ტერიტორიულად გამთლიანებული საქართველოს წინაპირობაა.

– რომელ დარგებს კურირებთ, რას დაატყვეთ თქვენი ხელი დროის ამ მოკლე მონაკვეთში?

– ვკურირებ მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებს. მართალია ამ სამსახურებს გამოცდილი სპეციალისტები უძღვებიან. დასაქმებულმა ადამიანებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე და წარმატებულადაც მუშაობენ, მაგრამ ჩვენი ურთიერთ–თანამშრომლობით 2010 წელს უფრო მეტის გაკეთება გვაქვს დაგეგმილი, რითაც ხელს შევუწყობთ კულტურისა და საგანმანათლებლო სისტემის განვითარებას. ასევე, შევიმუშავეთ პროგრამა, რითაც გათვალისწინებულია მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

– თქვენს კაბინეტთან მუდამ ხალხმრავლობაა, მთხოვნელთა სიაში უმეტესად სოციალურად დაუცველები არიან. რა დახმარებას უწევს ხელისუფლება მათ და ამ კუთხით 2010 წლის ბიუჯეტი როგორ გამოიყურება?

– მართალი ბრძანდებით, მთხოვნელთა სიაში უმეტესად ნამდვილად სოციალურად დაუცველი ადამიანები არიან. ქვეყანაში, მართალია, ბოლო ხუთი წლის მანძილზე საგრძნობლად შეიცვალა სოციალური ფონი, შეუქცევადი გახდა ეკონომიკური რეფორმები, დამკვიდრდა წესრიგი და სამართლიანობა, შეიქმნა ხელსაყრელი გარემო ეკონომიკური და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა მოსახლეობის ნაწილს ჯერ კიდევ მძიმე სოციალურ პირობებში უწევს ცხოვრება, სწორედ ეს მდგომარეობა აიძულებს მათ იყვნენ მთხოვნელთა სიაში. ძირითადად ისინი სიღარიბის ზღვარსქვემოთ მყოფთა დახმარების პროგრამით არიან უკმაყოფილონი, უფრო ზუსტად. ეს უკმაყოფილება ოჯახის შემოსავლის აღრიცხვის მეთოდს ეხება. ამასთან, ხელისუფლებისაგან პარალელურად ითხოვენ, ერთჯერად ფულად დახმარებას.

აქვე მოგახსენებთ, რომ 2010 წლისათვის უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური პირობების და საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამა განისაზღვრა 260 000 ლარით. (აღნიშნული ითვალისწინებს საოპერაციო ხარჯების ნაწილობრივ გადახდას, მრავალშვილიან დედათა და ახალშობილთა, სოციალურად დაუცველთა ერთჯერად დახმარებას). ხელისუფლებისათვის ცხადია, რომ სოციალურად დაუცველთა რიგს მოსახლეობის უმუშევრობა ზრდის და აღნიშნული დახმარება არ არის გამოსავალი მათი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ამიტომაც მოქალაქეთა დასაქმებაზე ზრუნვა და სამუშაო ადგილების შექმნა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა მუშაობის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

– გეტყვით, რომ მიზანმიმართული ნამდვილად ვარ, მაგრამ არა ამბიციური. ამიტომაც ძირითადში მიზანს თითქმის ყოველთვის ვაღწევ.

– თქვენ, რამდენადაც ვიცი, წლების განმავლობაში ბრძანდებით საქართველოს პარლამენტში ხობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას ბიუროს თავმჯდომარე, რას გვეტყვით ხობში მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე?

– ბატონი გოდერძი ბუკია 1995 წლიდან ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატია საქართველოს პარლამენტში. მას დღემდე იმდენი მნიშვნელოვანი პროექტი, ქველმოქმედება და სიკეთე უკეთებია, ამის ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, მისი მნიშვნელოვანი ყურადღებისა და დახმარების გარეშე არ დარჩენილა არც ერთი სფერო. საახალწლო თუ საშობაო ნობათები სხვადასხვა კატეგორიის ოჯახებზე, ვეტერანებზე. ყოველწლიურად საახალწლო საჩუქარი და კვების პროდუქტები სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებს, არა ერთი დახმარება თუ საჩუქარი მასწავლებლებსა და სკოლას, ჯანდაცვისა თუ კულტურის დაწესებულებებს.

აღსანიშნავია, მისი მნიშვნელოვანი წვლილი საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი"-ს აღორძინებაში, წლების მანძილზე საქველმოქმედო ფონდი „ხობი", რომლის დამფუძნებელი ბატონი გოდერძია, აფინანსებდა ამ გუნდს. ის ბევრი მნიშვნელოვანი პროექტის ავტორია, მაგრამ შეუძლებელია არ აღვნიშნო ყველასთვის ცნობილი და ასევე საამაყო უკვე მეოთხედ ჩატარებული ქართული ხალხური სიმღერის ფესტივალი – „სიმღერა სამეგრელოზე", რომ არაფერი ვთქვათ ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმის „სამეგრელო"-ს დაარსებაზე.

მართალია, თანამდებობაზე დანიშვნის დღიდან არ ვხელმძღვანელობ ბიუროს, მაგრამ უფრო ვრცლად დეპუტატის გაწეულ საქმიანობაზე სხვა დროს თქვენს გაზეთს სიამოვნებით მივაწვდიდი ინფორმაციას. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ ღირსეული არჩევანი გააკეთა ბატონი გოდერძის დეპუტატად არჩევის დროს.

– როგორია რალა ჩემია დედა და ბებია?

– როგორ გითხრათ, შვილები დიანა და დავით ქაჯაიები ჩემთვის ყველაფერია. რადგან მე უფრო მიწევდა მათ აღზრდასა და სწავლაზე „კონტროლი", ამიტომ უფრო მომთხოვნი და მკაცრი ვიყავი მათ მიმართ. მოფერება და მიტევება უფრო მამის „ფუნქცია" იყო. ეს არ იქნება კადნიერება თუ ვიტყვი, რომ ისინი ღირსეული ქართველები არიან და კარგი ოჯახებიც აქვთ. რაც შეეხება ბებიას–დამთმობი და ძალიან მოსიყვარულე ვარ.

– და ბოლოს, მარტი ქალთა დღესასწაულების თვეა, რას უსურვებდით ნაზი სქესის წარმომადგენლებს?

– მიმაჩნია, რომ სწორედ გაზაფხული და მისი პირველი თვე უნდა ყოფილიყო ქალთა დღესასწაული, რამეთუ გაზაფხულზე იღვიძებს ბუნება და იწყებს სიცოცხლეს.

ქალიც ხომ სიცოცხლის საწყისია, ქალი–დედა ოჯახის ბურჯია. ყველა ქალს, ყველა დედას ბედნიერებას ვუსურვებ!

ესაუბრა
მერი ლაგვილავა.

# თქვენს სადღეგრძელოდ მანდილოსნებო!

„გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას
თავს იწონებს ნაზი ია,
ჩვენს სალხენად კოკობ ვარდსაც
ეშხით გული გაუღია!"

განა მარტო ნაზი ია უღებს გულისკარს გაზაფხულს, წელიწადის ამ უმშვენიერეს დროს, ვარდყვავილობისა და კვირტთაფეთქების ჟამს, სიცოცხლის ხელახალ დაწყებას დედამიწაზე?!

არც ის არის შემთხვევითი, რომ დედის დღე სწორედ გაზაფხულზე აღინიშნება, თუ არა გაზაფხულს, სხვას რას უნდა შევადაროთ ქალი–სიცოცხლის საწყისი, ქალი დედა!

„ასწიეთ მაღლა, უფრო მაღლა
ღრუბლებსა ზედა,
ქალი მებრძოლი, ქალი დედა,
ქალი ლეგენდა!"

მარიკა ბარათაშვილის ეს სტრიქონები დიახაც მიესადაგება ქალის სულის სიდიადეს, ქალის ნიჭს,–შვას სიცოცხლე, ქალის დანიშნულებას–იყოს სიყვარულისა და სიცოცხლის მეგზური.

და განა მარტო ეს ღვთიური თვისებები ამკობს ბუნების ამ საოცრებას! მაგონდება ახალგაზრდობისას დაწერილი ერთი ჩემი ლექსი.

...ომი იყო... მტერს ებრძოდი
ჯარისკაცის ფარაჯით,
დღეს სიცოცხლის დუღაბი ხარ
და მშვიდობის დარაჯი.

მშენებლობის ხარაჩოებს
ამკობს შენი ნათელი,
ხალხის სამსახურისათვის
იწვი, როგორც სანთელი!

ბარაქალა შენს თლილ თითებს
ფეიქარო გოგონავ!
გრძნობის ცეცხლი დააკვესა
თვალთა ჭიაკოკონამ...

ბარაქალა, გმირო დედავ!
ცხრა ვაჟკაცის გამზრდელო,
კოლხო ცირავ, იმერელო,
აჭარელო, ქართლელო!..

...იდღეგრძელე! შენი გარჯა
მამულს კვლავაც სჭირდება,
შენს მომავალს გაუმარჯოს!
შენს ქალობას–დიდება!

3 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრმა შესანიშნავი საღამო აჩუქა ხობელ ქალბატონებს, კულტურის სახლის ფოიეში ლამაზად გაწყობილ სადღესასწაულო მაგიდებს მრავალშვილიანი დედები, ღვაწლმოსილი ქალბატონები–ექიმები, მასწავლებლები, სოფლისმეურნეები, კულტურისა და განათლების დარგის სხვა მუშაკები ამშვენებდნენ.

საღამოს ესწრებოდნენ: ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი იგორ ტყებუჩავა,



მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი მამუკა ჭოხონელიძე, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს სამსახურის უფროსები, დეპუტატები და სხვები.

საღამოზე შეკრებილთ მიესალმნენ ბატონები იგორ ტყებუჩავა, მამუკა ჭოხონელიძე, კარლო ჯობავა და სხვები. თითოეული მათგანი გულთბილად მიესალმა სტუმრებს–მრავალშვილიან დედებს, რომლებმაც შვეს და აღზარდეს ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა შვილი.

აი, ზოგიერთი მათგანი:

ხობელი შორენა ვეკუა-ლომაია–8 შვილის დედა, ჭალადიდელი რიტა ზიბზიბაძე–9 შვილის დედა, საჯიჯაოელი ნონა ძიმცეიშვილი–7 შვილის დედა, ჭალადიდელი ნინო რობაქიძე–7 შვილის დედა. ქვემო ქვალონელი თეა მიქაია–7 შვილის დედა, ნოჯიხეველი კლარა ხვითარია და სხვა მრავალი...

ჩვენდა საბედნიეროდ, ამგვარი დედა მუნიციპალიტეტში 104-ია.

მრავალშვილიან დედებს მიესალმა ჩვენი სახელოვანი ანსამბლი „კოლხეთი" და ფოლკლორული კოლექტივები. მსმენელებმა გულთბილად მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის ბატონ მამუკა ჭოხონელიძის მიერ ჩინებულად შესრულებული მეგრული სიმღერა, რომელიც მან საქართველოს პირველ ლედის სანდრა რულოვსს მიუძღვნა. შესანიშნავი გახლდათ ქორეოგრაფიული ანსამბლების გამოსვლები.

საღამოზე ბევრჯერ გაისმა დედისადმი მიძღვნილი ტკბილი სიმღერები.

გამოცხადდა კონკურსი მამაკაცთა მონაწილეობით–ვინ უკეთეს თაიგულს შეკრავდა და მიართმევდა მრავალშვილიან დედას. საღამოს მონაწილე ყველა ქალბატონს, ყველა მრავალშვილიან დედას ადგილობრივი ხელისუფლებისაგან 100-100 ლარი, ახალი აღქმა და ფსალმუნები გადაეცათ.

მინდა აღვნიშნო ერთი მშვენივრად მოფიქრებული ფაქტიც:

პოეტური კითხვა–პასუხის ფონზე დახასიათებული იყო ქალის, ამ შეუდარებელი ფენომენის მხატვრული სახე. აი, ისიც:

ქალი დედა–მშობელი
ქალი–სიცოცხლის საწყისი!
ქალი–მეუღლე, ქალი–სატრფო,
ქალი–არსება კალთანაკურთხი; ქალი-და,
ქალი–მოლხენა
ქალი–პლანეტის ნაზი გვირგვინი;
ქალი–ფიქრი და ოცნება;
ქალი–ლექსი და სიმღერა;
ქალი–მომავლის შენება,
ქალი–ცხოვრების ეშხი და სილამაზე,
ქალი–მკერდსჩასაკრავი, საფერებელი.

ძვირფასო მამაკაცებო! მხოლოდ ქალთა დღესასწაულზე ნუ ფიქრობთ ასე,–სადაც არ უნდა იყოს, როგორც არ უნდა გამოიყურებოდეს, რა ასაკისაც არ უნდა ბრძანდებოდეს, გესიმპათიურებათ იგი თქვენ თუ არა, მოგწონთ იგი თუ არა–გახსოვდეთ, ქალი ყველგან, ყოველთვის, ყველა ვითარებაში, უპირველესად, ქალია, რომელსაც თქვენი მოფერება და ალერსი სწყურია, ნუ მოაკლებთ მათ ამ ბედნიერებას.

გჯეროდეთ, ქალია თქვენი ოჯახის სიწმინდე, მისი ბურჯი, ქალია თქვენი შთამომავლობის გამგრძელებელი, ქალია თქვენი ერთგული მრჩეველი, თქვენი ჭირისა და ლხინის მოზიარე, თქვენი პეწი და სილამაზე.

ვიყოთ ერთად შურისა და ბოღმის გარეშე, გავულამაზოთ ერთმანეთს წუთისოფელი.

მრავალჟამიერ, ძვირფასო ქალებო!

მერი აბრამია

# gamravldiT, gaixareT…

ქალზე და ერთგულებაზე, მამულისათვის თავდადებაზე უთვალავი მითი, ზღაპარი თუ ლექსი შეუთხზავს ქართველ კაცს. როგორ არ უქია იგი, რისთვის არ შეუდარებია, თავისი სიცოცხლე სანთლად აუნთია და სანთელივით დამწვარ–დაფერფლილა მის სიყვარულში, ქალის სიყვარულით აგზნებულ ჩვენს წინაპრებს ხშირად წამოსცდენიათ ქების ეპითეტები.

მრავალშვილიან და შეძლებულ ოჯახში დაიბადა და გაიზარდა შორენა სიორდია. შინ სითბო და სიტკბოება არ აკლდა, მაგრამ სიყვარული ადრეულ ასაკში ეწვია და გადაწყვიტა თბილი კერა შეექმნა.

გოეთეს უთქვამს: „სიცოცხლე მაშინ არის კარგი, როდესაც სიყვარულის სხივით არის გამთბარი"-ო. მართლაც, სიყვარულის სხივით არის გამთბარი შორენა სიორდიასა და ჯემალ ქარცხიას ახალგაზრდა ოჯახი.

უდავოა, რომ შორენა კარგი დედაა. 33 წლისაა და ხუთ შვილს ზრდის. ოჯახურ ბედნიერებას სრულიად ახალგაზრდა ეზიარა. პირველმა შვილმა – პატარა ტატომ ოჯახი ახალი სითბოთი აავსო. მას მოჰყვნენ მაიკო, გიორგი, ივლიანე... ერთი თვის წინ კი მათ ოჯახს კიდევ ერთი წევრი, მეხუთე შვილი–ლუკა შეემატა.

საბედნიეროდ, საქართველოში ყველა დროს იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრების არსს მრავალშვილიანობაში ხედავენ, შორენა და ჯემალისთვის კი ასეა დღესაც. ბავშვები ხომ ქვეყნის მომავალი, მანათობელი შუქურა და ყველაზე დიდი სიხარულია. არაფერია ამ ქვეყანაზე იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე პატარა იზრდებოდეს ჯანმრთელად და



ბედნიერად, მყუდრო და თბილ გარემოში.

მართალია, მათი ოჯახი უმუშევარია, ყოფითი პრობლემებიც უხვად აქვთ, მაგრამ ამას არ უშინდებიან, შრომისმოყვარეობა და ოჯახზე ზრუნვა მათთვის ყველაზე მთავარია.

– შვილების აღზრდაში დედამთილ–მამათილი გვეხმარება, მიუხედავად სიდუხჭირისა, მინდა ჩემი შვილები საამაყონი აღიზარდონ, გამოადგნენ ქართველ ერს. ჩემი ოჯახის სილამაზე და სიძლიერე ჩემი შვილები არიან,–გვითხრა ქალბატონმა შორენამ.

გაზაფხულდა... გაზაფხული, ხომ ქალივით ლამაზია. ამიტომაც მარტის თვეში აღინიშნება ორი უმშვენიერესი დღესასწაული–დედისა და ქალთა დღე. მეც ვსარგებლობ ამით და მინდა მოგილოცოთ გაზაფხულის ეს უმშვენიერესი დღესასწაულები, გამრავლდით და გაიხარეთ!

ნანა კემულარია

## აღმშენებელი და კაცთმოყვარე

ბატონო ნუგზარ!

მხურვალე, გულწრფელი სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან 65 წლისთავს. ვლოცავთ იმ ბედნიერ დღეს, როცა თქვენ ამ ქვეყანას მოევლინეთ!

დედამიწაზე იშვიათად იბადებიან ადამიანები, რომელთაც თქვენსავით უყვართ დედულ–მამული, მშობლიური ხალხი, თქვენებრ ტიტანურ შრომას გასწევენ მათ საკეთილდღეოდ.

თქვენგან გამიგონია–„ხობი და ხობელები ჩემია, მათ ვერავინ წამართმევსო!“

სავსებით მართალი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენც, ხობელებსაც გვაქვს ჩვენი აზრი თქვენთან დამოკიდებულებაში, ნუგზარ ნადარაია ჩვენია, ხობელებს ვერავინ წაართმევს მის თავს.

ჭეშმარიტად! თავისი შინაარსით მეტად რთული თორმეტი წელიწადი, ხობში გაატარეთ! ხობელების წინამძღოლი იყავით.

მოდით, ვიყოთ გულახდილები: ჩვენს რაიონში გასაკეთებელი ბევრი რამ დაგხვდათ, მიუხედავად მაშინდელი ხელისუფლების მეცადინეობისა, საქმე ძალიან ნელა მიიწევდა წინ. მაშინ მე თავად გახლდით ხელისუფლების მაღალი ეშელონის წარმომადგენელი, თვითმხილველი ვარ ყველა კარგისა თუ ავისა, რაც მაშინ ხობის რაიონში კეთდებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს კპ ხობის რაიონული კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი, ჭკვიანი, ნიჭიერი და კაცთმოყვარე ადამიანი ბატონი ალექსანდრე წურწუმია დედაქალაქში გადაიყვანეს, ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით ერთხანს ამირან როგავა, შემდგომ კი თქვენ გრიგალივით შემოიჭერით ჩვენს ცხოვრებაში:

...და დაიწყო ხობის აღმშენებლობის ბუმი: კულტურის რაიონული სასახლე, საავადმყოფო, ორი მრავალსართულიანი ადმინისტრაციული შენობა, საცხოვრებელი ბინები რაიონულ ცენტრსა და პერიფერიებში, სკოლები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სამედიცინო ამბულატორიები, ქალაქისა და სკოლების ცენტრების შიდა და გარეგანათებები, რკინიგზის სადგურის კეთილმოწყობა. ცენტრალური გზატკეცილისა და შიდასასოფლო გზების გაყვანა და შეკეთება, სასოფლო–სამეურნეო ობიექტების (მეცხოველეობის, მეფრინველეობის, სასათბურე მეურნეობების) მშენებლობა, არსებულთა რეაბილიტაცია და სხვა და სხვა, ყველაფერს ვინ ჩამოთვლის?!

განა ეს არ არის საკმარსი იმისთვის, რომ თქვენს გარჯასა და თავდადებას, თქვენს მუხლჩაუხრელ შრომას ხობელებმა სიყვარულით უპასუხონ?!

ვინც თქვენ არ გიცნობთ, ვერც დაიჯერებს, რომ ამდენი რამ შეიძლება ერთმა ადამიანმა გააკეთოს, შექმნას, ითავოს, ააშენოს, დააფუძნოს, მოუაროს, განავრცოს!

ეს მხოლოდ რჩეულთა, ღვთისაგან მოვლენილ ადამიანთა ხვედრია!

პატიებას გთხოვთ, ბატონო ნუგზარ! თქვენზე საუბარი, თქვენი კეთილი საქმეების უბრალოდ ჩამოთვლაც კი დაუსრულებლად შემიძლია, მაგრამ ერთ საგაზეთო წერილში ეს არ მოხერხდება!

ბედს იმაში ვემდური, რომ თქვენთან მუშაობა არ მომიხდა, თუმცა ეს ხელს ვერ შემიშლის იმაში, რომ თქვენი თაყვანისმცემლებისა და თქვენი შრომის დამფასებელთა პირველ რიგებში ვიყო!

თქვენს იუბილეს ვულოცავთ თქვენს მშვენიერ მეუღლეს, კეთილშობილ, კაცთმოყვარე ადამიანს, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს ქალბატონ მანანას, ვულოცავთ თქვენს სანაქებო ვაჟიშვილს და ვუსურვებ წელგამართულად ევლოს სახელოვანი მამისა და ბაბუის, ბატონ ოთარ ნადარაიას ნაკვალევზე;

იხაროს და იბედნიეროს თქვენმა ოჯახმა კოლხ წინაპართა სახელოვანმა შთამომავალმა.

მადლიერი ხობელების სახელით

თქვენი მერი აბრამია.

# გული — მისი ყველაზე უტყუარი კომპასი

თუ ვინმეს აქვს იმის მორალური უფლება, რომ თამამად გაიმეოროს ბუბა კიკაბიძის ერთი ცნობილი სიმღერის სიტყვები - ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეაო, და თვალიც თამამად გაუსწოროს მრავალ სიძნელე-დაბრკოლება-მწუხარებით თუ მიღწევა-წარმატება-სიხარულით სავსე განვლილ ცხოვრებისეულ გზას, ერთი მათგანი უთუოდ ნუგზარ ოთარის ძე ნადარაიაც იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, "კაცი-ლოკომოტივი", ლამის ნებისმიერი "შემადგენლობის ჩაბმა", ანუ მეურნეობის ნებისმიერ უბანზე ხალხის აყოლიება და დასახული მიზნის წარმატებით მიღწევისთვის გაძღოლა რომ ძალუძდა და არც ახლა გაუჭირდება...

კარგი მშობლების შვილი და უკეთესი შვილის მშობელი, შესანიშნავი მეუღლე და მეგობარი, საუცხოო მოქალაქე და ჭეშმარიტი პატრიოტი ნუგზარ ნადარაია მუდამ მისთვის ყველაზე უტყუარი "კომპასის" - გულის კარნახ-ძახილით ცხოვრობდა და მუშაობდა. ამიტომაც აღწევდა წარმატებებს, ჰქონდა და აქვს დიდი ავტორიტეტი, სიყვარული და პატივისცემა ყველგან, სადაც კი უმოღვაწია...

ამის დასტურია თუნდაც თვითმმართველი ქალაქის ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც 1995-1997 წლებში ფოთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის, კოლხური და ზოგადქართული ცივილიზაციის, ისტორიის შესწავლის, პროპაგანდა-გავრცელებისთვის და დაბადების 65 წლისთავთან დაკავშირებით ნუგზარ ნადარაია არჩეულია ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქედ.



გულწრფელად ვულოცავთ ბატონ ნუგზარს ამ მორიგ ღირსეულ დაფასება-აღიარებას და ვბეჭდავთ ორ მასალას სამეცნიერო-ჟურნალკრებულის "ცოტნეიდელის" სულ ახლახან დასტამბული მესამე ტომიდან, რომლის გამოცემის იდეის ავტორი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ბატონი ნუგზარ ნადარაია გახლავთ.

## * * *

ნუგზარ ნადარაია დაიბადა 1945 წლის 26 თებერვალს ფოთში.

მეუღლე - მანანა ქორიძე, პროფესორი.

შვილი - ოთარი, მეცნიერ-ეკონომისტი, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი და ბანკის მუდმივი საბჭოს წევრი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი.

მამა - ოთარ ალექსანდრეს ძე ნადარაია, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი.

დედა - რუსუდან ექვთიმეს ასული გველესიანი, სახალხო ექიმი. წარმატებით მონაწილეობდა კოლხეთში მალარიის დაავადების სალიკვიდაციო-პროფილაქტიკურ სახელმწიფო პროგრამაში.

განათლება - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1967); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა (1970); აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

კარიერა - საქართველოს საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილების, ქიმიზაციის სამმართველოს უფროსი, საგეგმო-ეკონომიკური მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი



მოადგილე; საქართვლეოს კპ ცკ ინსტრუქტორი, ინსპექტორი; კპ ხობის რაიკომის პირველი მდივანი (1975-1986); კპ აჭარის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი (1986-1991); საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მე-9, მე-10 და მე-11 მოწვევის დეპუტატი; საქართველოს პარლამენტის წევრი (1992-1995), მაჟორიტარი ხობიდან; საქართველოს პარლამენტში ფრაქცია „ნეიტრალების“ და პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ შემქმნელი და თავმჯდომარე, პარლამენტის კოლეგიის წევრი; ფოთის მერი - საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული (1995-1997); საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე (1997-2000); ფაზისის საერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი 2001 წლიდან, თანაპრეზიდენტი - 2009 წლიდან; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, დაიცვა დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საგარეუბნო სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები“; სამეცნიერო ნაშრომებისა და ბიოგრაფიული წიგნების ავტორი; აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; შრომის წითელი დროშის, ხალხთა მეგობრობისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენების კავალერი; ცოტნე დადიანისა (1999) და გიორგი ჭყონდიდელის (2005) ქვეყნის, ერისა და ეკლესიის წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის მათ წმიდანებად კანონიზირების უზრუნველსაყოფად სახალხო მოძრაობის ინიციატორ-თაოსანი და უცვლელი თავმჯდომარე; ფოთში აღდგენილ სამეგრელოს ისტორიულ მოედანზე 1996 წელს საქართველოს ზნეობრივი გმირის ცოტნე დადიანის ძეგლის დადგმის ინიციატორ-თაოსანი; პარლამენტართა დარბაზის პრეზიდიუმის წევრი; ფაზისის ეპარქიის საეკლესიო საბჭოს წევრი; საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელი სამეგრელოს მხარეში; სამეგრელოს გეოგრაფიული ატლასის სამეცნიერო საბჭოს, გაზეთების „ფაზისის“, „დიოსკურიის“ „ნიკოლაძის გზით“, „ქალდეას“ სარედაქციო საბჭოს წევრი; საზოგადოებრივი მოძრაობა „ჭყონდიდელ-ცოტნეიდელის“ (აღმსარებელნი მცნებისა უფლისა და დამდებელნი სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის) დამაარსებელი და უცვლელი თავმჯდომარე; ქართული თეატრისა და ქართული სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი პირადი მნიშვნელოვანი წვლილისთვის (დასავლეთ საქართველოში თეატრონების, კულტურის სახლების, მუზეუმების, კულტურულ-სპორტული კომპლექსების, ოლიმპიური რეზერვების აუზის მშენებლობა) არჩეულია თეატრის მოღვაწეთა კავშირის, ქართველ სპორტსმენთა ლიგის საპატიო წევრად; საფრანგეთის ქალაქ აგდეს, ბულგარეთის ქალაქ ვარნასა და ფოთსა და ხობს შორის დამეგობრებისთვის მიღებული აქვს ამ ქალაქების ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საპატიო დიპლომები; არჩეულია უკრაინის ქალაქ გოროხოვოს, ლიტვის ქალაქ კრეტინგას, ხობის, იყალთოს, ჩარგლის, მარტვილის საპატიო მოქალაქედ.

## ძვირფასო და საყვარელო ბატონო ნუგზარ!

საქართველოს ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თქვენ ბრძანდებით, მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, თანამედროვე ქართული ინტელიგენციის და საზოგადო მოღვაწეთა ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, და გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს - დაბადების 65 და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავს. თქვენ იმ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნით, რომელთაც დედასამშობლო არაერთი სასიკეთო საქმით ასახელეს. მარტო ის კმარა, რომ აღინიშნოს თქვენი მრავალმხრივი საქმიანობა თბილისში, ხობსა და ფოთში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

საყოველთაოდ აღიარებულია თქვენი ნოვატორული შემოქმედება ხობის რაიონში, კოლხეთის დაშრობის და ათვისების საშვილიშვილო საქმის განხორციელებისას. თქვენ ხობში ხელმძღვანელობდით კოლხეთის სამეცნიერო პოლიგონს, რომლის საცდელ ფართობებზე აპრობირებული მიღწევების გასაცნობად ჩამოდიოდნენ მეცნიერები და წარმოების ნოვატორები რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან, ლიტვიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, ვიეტნამიდან, კორეიდან და აფრიკის განვითარებადი ქვეყნებიდან... მრავალი თქვენი ნამოღვაწარი აღნიშნული იყო ხელისუფლების უმაღლესი ჯილდოებით, სხვადასხვა პრემიით, რაც მთავარია, მაცხოვრებლების დიდი მადლიერებით.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მოღვაწეობა ქალაქ ფოთში. აქ თქვენ ბევრი კეთილი საქმის ინიციატორი ბრძანდებოდით, რომელთა ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. ის კი ფაქტია, რომ იქ დაიმსახურეთ ისეთი დიდი სიყვარული, პატივისცემა, რომ დღესაც დიდი სიხარულით გიხსენებთ ამ უძველესი ქალაქის მოსახლეობა, ქალაქისა, რომელსაც დიდი ნიკო ნიკოლაძე თავკაცობდა.

ამ პატარა მისალმება-მოფერებაში შეუძლებელია ყველა თქვენი მიღწევის, თქვენი დაუშრეტელი ენერგიის, ნაამაგარის არამცთუ განხილვა, ჩამოთვლაც კი. მაგრამ ერთს მაინც გვერდს ვერ ავუვლით: უნდა აღინიშნოს თქვენი დიდი წვლილი ფაზისის, ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი უძველესი აკადემიის, რომლის თანაპრეზიდენტიც ბრძანდებით, განახლება-აღორძინების საქმეში, იმ აკადემიისა, რომელშიც სულ რამდენიმე ხნის წინათ ილვწოდნენ რესპუბლიკის მეცნიერთა ისეთი უბრწყინვალესი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ილია ვეკუა, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები გ. ჩიტაია, მ. ჩუბინიშვილი, ე. ფიფია, თ. დავითაია, ა. ბარამიძე, ანდრია აფაქიძე, ილია ტაბაღუა, პუბლიცისტი ვლადიმერ ალფენიძე და სხვები.

თქვენ ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად დღენიადაგ იღწვით, რომ ამ უძველესმა აკადემიამ გამონახოს თავისი საპატიო ადგილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის და მრავალრიცხოვან დარგობრივ აკადემიებს შორის, რომელთაც თავისთავადი მიზანი და ამოცანები აქვთ. ეს აკადემია, სხვადასხვა საზოგადოებრივ საწყისებზე ჩამოყალიბებულ აკადემიებთან შედარებით, ვერ შემოიფარგლება მეცნიერების ან კულტურის, სპორტის რომელიმე ერთი მიმართულებით. ის მოვალეა, იმოქმედოს მეცნიერების იმ დარგებში, რომლებიც საჭიროა მთელი საქართველოს, მათ შორის, კოლხეთის აღორძინებისთვის. თქვენ აკადემიის პრეზიდიუმთან ერთად ძალ-ღონეს არ იშურებდით, რომ ფაზისის აკადემია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აგრეთვე სხვა სამეცნიერო დაწესებულებების თანადგომით გახდეს მეცნიერების, ტექნიკის, ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების, კულტურის, ხელოვნების, მხატვრული სიტყვის ოსტატთა მონაპოვრების, ანალიზის, გარჩევის და პროპაგანდის გამორჩეული კერა.

ყოველივე ამისთვის დიდი მადლობა, ბატონო ნუგზარ!

ძვირფასო ნუგზარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობას გისურვებთ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ მოქალაქეს, სანიმუშო მეოჯახეს, ჭეშმარიტ ინტელიგენტს და შემოქმედს. ღმერთმა თქვენნაირი მამულიშვილები უმრავლოს საქართველოს.

საყვარელო ნუგზარ!

იცოცხლეთ დიდხანს მშვენიერ მეუღლესთან, შესანიშნავ შვილთან და უკეთეს მომავალ შვილიშვილებთან ერთად ჩვენი ერის სასახელოდ, ფაზისის აკადემიის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა სასიხარულოდ, რომელთა შორის მრავალი თქვენი გულწრფელი მეგობარია.

ცოტნე მირცხულავა,

ფაზისის აკადემიის პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
# ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N139
ქ. ხობი
2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 15 მარტის N153 ბრძანებასთან ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილების მე-4 დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) 0107 ორგანიზაციული კოდით აისახოს „წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა", ნაცვლად არსებული „აუდიტორული მომსახურებისა";

ბ) 0502 ორგანიზაციული კოდით აისახოს „გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია", ხოლო „კეთილმოწყობის სამუშაოები" აისახოს 0509 ორგანიზაციული კოდით. შესაბამისად, 275.7 ათასი ლარით შემცირდეს 0502 ორგანიზაციული კოდი და 275.7 ათასი ლარით გაიზარდოს 0509 ორგანიზაციული კოდი;

გ) 0506 ორგანიზაციული კოდით აისახოს „ბინათმშენებლობა", ხოლო „სამელიორაციო სამუშაოები" აისახოს 0505 ორგანიზაციული კოდით. შესაბამისად, 7.0 ათასი ლარით შემცირდეს 0506 ორგანიზაციული კოდი და 7.0 ათასი ლარით გაიზარდოს 0505 ორგანიზაციული კოდი.

დ) 0505 ორგანიზაციული კოდით აისახოს „სანიაღვრე არხების მოწყობა", ნაცვლად არსებული 0509 ორგანიზაციული კოდისა. შესაბამისად, 222.0 ათასი ლარით შემცირდეს 0509 ორგანიზაციული კოდი და 222.0 ათასი ლარით გაიზარდოს 0505 ორგანიზაციული კოდი;

ე) 0704 ორგანიზაციული კოდით აისახოს „სპორტული სკოლები", ხოლო არსებული „ძეგლთა დაცვა" აისახოს 0710 ორგანიზაციული კოდით. შესაბამისად, 10.0 ათასი ლარით შემცირდეს 0704 ორგანიზაციული კოდი და 10,0 ათასი ლარით გაიზარდოს 0710 ორგანიზაციული კოდი;

ვ) 0705 ორგანიზაციული კოდით აისახოს „სახელოვნებო სკოლები", ხოლო არსებული „კულტურული მემკვიდრეობა" აისახოს 0710 ორგანიზაციული კოდით. შესაბამისად, 0.5 ათასი ლარით შემცირდეს 0705 ორგანიზაციული კოდი და 0.5 ათასი ლარით გაიზარდოს 0710 ორგანიზაციული კოდი;

ზ) 0805 ორგანიზაციული კოდით აისახოს „ავადმყოფთა სოციალური დაცვა" ნაცვლად არსებული „ავადმყოფთა და განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი დახმარებისა". შესაბამისად, 50.0 ათასი ლარით (პროგრამა „ერთჯერადი ფულადი დახმარება განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების დროს") შემცირდეს 0805 ორგანიზაციული კოდი და 50.0 ათასი ლარით გაიზარდოს 0806 ორგანიზაციული კოდი;

თ) 0807 ორგანიზაციული კოდით აისახოს „სოციალური სხვა" ნაცვლად არსებული „უმწეო კატეგორიაზე წყლის ხარჯისა". შესაბამისად, 14.0 ათასი ლარით შემცირდეს 0807 ორგანიზაციული კოდი და 14.0 ათასი ლარით გაიზარდოს 0806 ორგანიზაციული კოდი;

ი) 0808 ორგანიზაციული კოდით აისახოს „ჯანდაცვის სხვა" ნაცვლად არსებული „ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურებისა". შესაბამისად, 21.6 ათასი ლარით შემცირდეს 0808 ორგანიზაციული კოდი და 21.6 ათასი ლარით გაიზარდოს 0802 ორგანიზაციული კოდი.

2. გადიდდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლები გრანტებიდან 1124.9 ათასი ლარით (მათ შორის: სპეციალური ტრანსფერები - 1124.9 ათასი ლარი) და დამტკიცდეს 1290.9 ათასი ლარის ოდენობით, ნაცვლად ადრე დამტკიცებული 166.0 ათასი ლარისა.

3. შემცირდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში:

ა) ფინანსური აქტივების ცვლილება 58.6 ათასი ლარით (მათ შორის: ვალუტა და დეპოზიტების ზრდა 58.6 ათასი ლარი) და დამტკიცდეს 22.0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის: ვალუტა და დეპოზიტების ზრდა 3.9 ათასი ლარის ოდენობით)

ბ) საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები 6.0 ათასი ლარით (მათ შორის ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის ხარჯები 6.0 ათასი ლარი)

4. გრანტებიდან მიღებული და გამოთავისუფლებული თანხების მთლიანი მოცულობა - 1189.5 ათასი ლარი მიიმართოს შემდეგი ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

ა) ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე - 1183.5 ათასი ლარი (მათ შორის: გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯებზე - 435.1 ათასი ლარი; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებზე - 477.0 ათასი ლარი; საკანალიზაციო და სამელიორაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებებზე 77.4 ათასი ლარი; კეთილმოწყობის სამუშაოებზე -194.0 ათასი ლარი)

ბ) საგანმათლებო ღონისძიებების ხარჯებზე - 6.0 ათასი ლარი (მათ შორის: აიპ „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის" სუბსიდია - 6.0 ათასი ლარი)

5. დადგენილების პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, „ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 30 დეკემბრის N137 დადგენილებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

ა) დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ბალანსი თანახმად N1 დანართისა:

ა) ბიუჯეტის შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარით (აქედან: გადასახადები 6192,0 ათასი ლარი; გრანტები - 1290,9 ათასი ლარი; სხვა შემოსავლები - 317.0 ათასი ლარი);

ბ) ბიუჯეტის ხარჯები - 4813.3 ათასი ლარით (აქედან: შრომის ანაზღაურება - 1147.7 ათასი ლარი; საქონელი და მომსახურება -778.1 ათასი ლარი; სუბსიდიები - 2627.5 ათასი ლარი; სოციალური უზრუნველყოფა - 260.0 ათასი ლარი);

გ) საოპერაციო სალდო - 2986.6 ათასი ლარით;

დ) არაფინასური აქტივების ცვლილება - 2982.7 ათასი ლარით;

ე) მთლიანი სალდო - 3,9 ათასი ლარით;

ვ) ფინასური აქტივების ცვლილება - 3,9 ათასი ლარით".

ბ) დადგენილების 2-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამტკიცდეს ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანახმად N2 დანართისა. მათ შორის:

ა) შემოსულობები - 8449,9 ათასი ლარით (აქედან: შემოსავლები - 7799,9 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების კლება - 650,0 ათასი ლარი);

ბ) გადასახდელები - 8446,0 ათასი ლარით (აქედან: ხარჯები - 4813.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 3632.7 ათასი ლარი);

გ) ნაშთის ცვლილება - 3,9 ათასი ლარით;"

გ) დადგენილების 5-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხობის მუნიციპალიტეტის 2010 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია განისაზღვროს თანახმად N5 დანართისა. მათ შორის:

3. გამგებლის ბრძანებით ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებები დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახვის მიზნით ერთი თვის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საბიუჯეტო წლის დასასრულისა უნდა წარედგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად საკრებულოს დადგენილების პროექტის სახით.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მ.ჭოხონელიძე

---

საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება N146

ქ. ხობი 2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N133 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

‘ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და ‘ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 28 ოქტომბრის N133 დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) მონაწილეობს საფინანსო ბალანსების, მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობებისა და ადმინისტრაციული ერთეულის სხვა დოკუმენტების მომზადებაში.“

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე მ. ჭოხონელიძე

---

საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება N143

ქ. ხობი 2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 აპრილის N95 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 30 აპრილის N95 დადგენილება.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: მ. ჭოხონელიძე

---

საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება N144

ქ. ხობი 2010 წლის 25 თებერვალი

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 25 დეკემბრის N109 დადგენილების დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ‘ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

გ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი;“

დ) მე-5 მუხლის მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საერთო კოორდინაციას უწევს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადებას და დამტკიცებული პროგრამების (ბიუჯეტის) შესრულებას; საკრებულოს განსახილველად წარუდგენს ბიუჯეტისა და ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პროექტებს;“

ვ) 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) წინასწარ განიხილავს საკითხებს და საკრებულოსთვის ამზადებს დასკვნებს მუნიციპალური პროგრამებისა და გეგმის პროექტებზე;“;

ზ) 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) განიხილავს თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალურ პროგრამებსა და გეგმებს, ბიუჯეტის პროექტებს და შეიმუშავებს დასკვნებს;“;

თ) 69-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 69. საკრებულოში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის წარდგენის, განხილვისა და მიღების წესი

1. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტების მომზადების, წარდგენის, განხილვისა და დამტკიცების წესი განისაზღვრება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონით, ‘საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითა“ და ამ დებულებით (რეგლამენტით).

2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად გამგებელი წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს არა უგვიანეს 15 ნოემბრისა.

3. ბიუჯეტის პროექტთან ერთად, საკრებულოს წარედგინება გამგეობის მიერ მომზადებული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

4. ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;

ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული მხარჯავი დაწესებულებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეორე თანრიგის (გარდა ორგანიზაციული კლასიფიკაციისა) მიხედვით;

გ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;

დ) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით;

ე) სარეზერვო ფონდის მოცულობას;

ვ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;

ზ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტით გათვალისწინებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საშუალოვადიან პრიორიტეტებს, მათ მიზნებსა და შედეგებს;

5. ბიუჯეტის პროექტის თანდართული მასალები უნდა მოიცავდეს:

ა) ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს;

ბ) მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას.

6. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ინფორმაცია, გარდა იმავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციისა, წარმოდგენილი უნდა იყოს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია - დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის.

7. ბიუჯეტის პროექტის საკრებულოსთვის განსახილველად წარდგენამდე, იგი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წინასწარი განხილვისთვის გადაეცემა საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიას და ფრაქციებს.

8. ბიუჯეტის პროექტი საკრებულოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისთვის.

9. ბიუჯეტის პროექტთან ერთად, საჯარო განხილვისთვის შესაძლებელია გამოქვეყნდეს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნა, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს სხვა კომისიების, აგრეთვე საკრებულოს წევრების წინადადებები, შენიშვნები და შეფასებები.

10. საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის მიერ ბიუჯეტის პროექტის წინასწარი განხილვის შემდეგ იგი საკრებულოს წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარის მიერ.

11. საკრებულო, ბიუჯეტის პროექტს საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის დასკვნასთან, ფრაქციებისა და საკრებულოს წევრთა წინადადებებთან ერთად საჯაროდ განიხილავს სხდომაზე და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.

12. ბიუჯეტის პროექტის განხილვა წარმოებს ერთი მხრივ ნომერთა რიგის მიხედვით და მეორე მხრივ, ნომერთა იმ ჯგუფის მიხედვით, რომლებიც წარმოადგენდნენ ცალკე მხარჯავი დაწესებულებების საფინანსო ხარჯების ნუსხას.

13. პირველად განიხილება მთელი უწყების საფინანსო ხარჯთაღრიცხვის ზოგადი საფუძვლები, შემდეგ - ცალ-ცალკე მუხლები.

14. ბიუჯეტის პროექტის განხილვის დროს ჯერ უნდა მოხდეს პროექტის ზოგადი საფუძვლების განხილვა, ხოლო შემდეგ - ცალ-ცალკე მუხლების.

15. როგორც შემოსავლების, ასევე ხარჯების თითოეულ მუხლს ცალ-ცალკე უნდა ეყაროს კენჭი.

16. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, საკრებულოს თავმჯდომარე არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს გამგებელს, რომელიც არაუგვიანეს 10 დეკემბრისა, საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტის შესწორებულ, ან იმავე ვარიანტს.

17. საკრებულოს მიერ ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში საკრებულოს სიითი შემადგენლობის 1/2-ით შესაძლებელია დამტკიცდეს საკრებულოს ფრაქციის ან/და სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3-ის მიერ ინიცირებული ბიუჯეტის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის მიერ გამგებლისთვის გაგზავნილი შენიშვნები.

18. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი მიიღება საკრებულოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

19. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიზნობრივი დაფინანსების უზრუნველსაყოფად საკრებულო უფლებამოსილია დაამტკიცოს გამგეობის მიერ წარმოდგენილი საგანგებო ბიუჯეტი.“

ი) 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) საკრებულომ ორ თვეში ვერ აირჩია საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი;“;

კ) 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებიდან 3 თვის განმავლობაში თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის გამო საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა შესაბამისი სამართლებრივი აქტი.“;

ლ) 118-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ საკრებულოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.“;

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
მ. ჭოხონელიძე

## ჩვენი მოლოცვა

### ლაშა გვასალია რეზო ინანიშვილის პრემიით დაჯილდოვდა

„დავდივარ ქვეყნად სიყვარულად და რია–რიად,
ბედნიერი ვარ იმითაც, რომ ქართველი მქვიან!"
ლაშა გვასალია



### ლაშა, ჩვენო სიამაყევ!

უზომოდ გახარებულები ვართ შენი ვაჟიანობით. აღმატებული გულმხურვალებით გილოცავთ თქვენი ცხოვრების ამ უბედნიერეს მოვლენას. დარწმუნებული ვართ პატარა დემეტრე-გუგუტა სამშობლო–საქართველოს გულმხურვალე პატრიოტად გაიზრდება, გაამრავლებს ღირსეულ წინაპართა ნაღვაწ–ნაფიქრალს და ძველკოლხური თავდადებით სიყვარულად და რია–რიად გაჰყვება მამის ჭეშმარიტად ღირსეულ ნაკვალევს.

ჩვენს დიდ სიხარულს, რომელიც თქვენმა ვაჟიანობამ გამოიწვია, ფრიად სასიამოვნო ინფორმაციაც დაემატა.

თქვენმა მოთხრობამ „სასაფლაო" ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციაში ჟურნალ „ხელეურის" რეზო ინანიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა და მისი პირველი პრემიის ლაურეატი გახდით.

ჟურნალ „ხელეურის" მთავარმა რედაქტორმა ქალბატონმა თამარ შაიშმელაშვილმა, მოგილოცათ რა კონკურსში გამარჯვება, აღნიშნა: „ყველა შემოქმედისათვის სანატრელია რეზო ინანიშვილის პრემია, რადგან იგი არა მხოლოდ დიდებული შემოქმედი, არამედ მაღალზნეობრივი ადამიანიც იყო!"

ჭეშმარიტად!

გილოცავთ ამ ეროვნულ ჯილდოს! ვამაყობთ იმით, რომ თქვენი თითქმის ყველა მოთხრობა თუ ლექსი პირველად ჩვენს გაზეთში იბეჭდება. კიდევ ერთხელ მადლობა ამისათვის. ეჭვი არ გვეპარება, რომ თქვენ მრავალჯერ გაახარებთ მკითხველს თქვენი მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, კვლავაც, როგორც აქამდე, დაუღალავად იბრძოლებთ ქართული ენის სიწმინდის დასაცავად!

ღმერთმა ინებოს შეგრჩეთ ნიჭი, ენერგია და სურვილი თქვენებური შემართებითა და სიყვარულით დიდხანს ემსახუროთ მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურას.

კიდევ მრავალი ვაჟიანობა და გამარჯვება ჩვენო ძვირფასო! ღმერთი იყოს თქვენი ლამაზი ოჯახის მფარველი! ამინ!

გაზეთი „ახალი სამკუთხედი"

## კვირაძალის საკითხავი

# სასაფლაო

ლაშა გვასალია

სევდით მეოცნებე კაცის, ჩემი დიდი მეგობრის გოდერძი ჩოხელის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი ამ მოთხრობას.
საფლავის ქვებიდან მიქელანჯელოს „მოსეს" მსგავსი ბერიკაცები იმზირებიან!

დუმილი სევდის დედააო, დუმილი ღვთის ჩურჩულიაო... და კიდევ: დგანან პირამიდები, საუკუნეთა დარდ-საიდუმლოებებით დახავსებულნი, ქვიშისფერ სისადავეში ჩაძირული ათასრაობით.

დუმილი სჩვევიათ ეკლესია-მონასტრებს, იდუმალი, ფიქრებით დახუნძლული დუმილი...

ათასი ღია კარ-სარკმელით შორეთს მითვალმზერებული ვარძიაც დუმილითაა აღვსილ-განათებული. ბებერი ტაოც ეგრეა და დაღლილი მზისფერებით გარიალებული სვეტიცხოველიც.

არაფერს ვამბობ ცას გალობითა და ჩუმი თქმით მიმზევებულ ქვათა სიმფონია სამებაზე!

დუმან სასაფლაოებიც...

სიკვდილისხელა დუმილით სავსე სასაფლაოები, სალოცავ-ეკლესიების ალიკვალები, უფლის სულთქმით ცასა და სიღრმეთს მიმარტოებულნი...

სიმარტოვემ იცის დუმილი და ფიქრად ქცევა, სიშავე-სიმრუმეში გარკვევა და ბნელის ნათელით ტკბობა. ბნელს რომ ნათელი ახლავს, ეს წყვდიადი ღამის მთვარეულმა სიკაშკაშემ დაგვანახა და ღრუბლის მაყვლისფერ სიშავეში იმედად ჩაფენილმა მთების ნათელმა ფიქრმა-ნისლმა.

მაყვლისფერის გახსენებამ ყვავილი მომაგონა. საოცრად ლამაზი ყვავილი იცის მაყვალმა, სევდანათელით გამზევებული, ლამისაა პირველ, უიღბლო, მაგრამ გულში გაზაფხულად ჩარჩენილ სიყვარულს შეადარო.

ჰაუჰ, მართლაც, საოცრებაა ყვავილი მაყვლის!..

სასაფლაოზე ვამბობდი, ისე არაფერი ჰგავს ამ ქვეყანაზე ერთურთს, როგორც სასაფლაოები, სიკვდილის დედის ძუძუნაწოვი სასაფლაოები...

დარდით, სევდით, ტკივილებით, დაკარგული სურვილებით, გაუხარელი იმედებით ჩაღრუბლული მიცვალებულთა სავანეები.

ღმერთო დიდებულო, როგორი სევდაა ჩაყველაფერებული ამ დუმილის სამეფოში!..

მითაჟამინდელ, ხავსმოდებულ საფლავის ქვაზე ჭირს ეპიტაფიის ამოკითხვა, საუკუნენახევრის წინანდელი ქართულითაა წაწერილი. ჩაძიებული კაცი ამოიკითხავს ბეგლარისა და მისი მხევლის-ვარვალას სახელებს. ახლა არავის ახსოვს ისინი, არც მათ მემკვიდრეებზე უწყიან რაიმე!

არადა, ხომ საინტერესოა, როგორები იყვნენ საუკუნენახევრის წინათ ბეგლარი და ვარვალა?

ბეგლარი, ჩემი წარმოსახვით, უთუოდ ჯღარლთვალება, უხეშთმიანი და დიდულვაშა ჯირღალი კოლხი იქნებოდა. ვარვალა, როგორც სახელი ვარვალი გვაუწყებს,– მოუსვენარი, საქმით დაუღლელი, ოჯახისთვის გაჩენილი დედაქალი.

ერთ ლოდქვეშ დატეულებს ოჯახიც ერთსულ და ერთხორც ექნებოდათ, ტკბილი და სიყვარულით ჭერნათელი. სტუმრის მოსვლით უზომოდ გახარებულნი იქნებოდნენ. ამოდენა სარჩო-საბადებელს მარტონი რას მოერეოდნენ? შეძლებულნი რომ იყვნენ, ამაზე კი იმ დროისთვის ასე ძვირად ღირებული საფლავის ლოდი მეტყველებს. უშვილძირონი რომ იყვნენ, იმაზე კიდევ ის, რომ მარტონი განისვენებენ და ახლო-მახლო არავინ უსვენიათ. ფერხთით უშველებელი ცაცხვი გუგუნებს. ხშირად ისიც მიფიქრია, ბეგლარის და ვარვალას სულებიც ამძაფრებენ ცაცხვის გუგუნს–მეთქი.

რაღაცნაირად მგონია, რომ ასაკს გადაცდენილი შეირთავდა ცოლს ბეგლარი. გაიხარებდნენ ნათესავ-მოკეთენი. აუჰ, გვეშველა ჩვენც და ეშველა ბეგლარსაცო! ბეგლარი გრძელ ულვაშებზე გადაისვამდა ხელს და პირველი ღამის კმაყოფილებას ეშმაკური ღიმილით გამოხატავდა. ვარვალა კიდევ ერთი კვირა ხალხში გამოჩენას მოერიდებოდა, მაშინ ეგეთი ქართველები იყვნენ, გაწითლება იცოდნენ მალიმალ...

ნეტა იმ დროს!..

უბრალოდ და სადად ჩატარდებოდა ჯვრისწერის საღვთო რიტუალი. მეჯვარეები სიკეთით სავსე ადამიანები იქნებოდნენ, ღიმილით აღვსილნი და სიხარულით განათებულნი.

მეჯვარე ქალს ჩონგურზე დაკვრა ეცოდინებოდა უცილოდ. ჩამოიღებდა ან მიაწოდებდნენ თუთის ხისგან გამოჰანგებულ მამაპაპურ საკრავს. ჩამოჰკრავდა ცხენის ძუის ლარს ჩამოქნილ, სანთლისფერა თითებს და ჯვარზე გაკრული მაცხოვრის თვალების სევდად ჩამოიღვრებოდა „ნანა"...

ეს ჯვრისწერა იქნებოდა ასე.

ქორწილი შემოდგომაზე, ორსული ქალივით სავსე დროს გაიმართებოდა. პურ-ყველაფრით, ღვინომირონით სავსე სუფრას თამადაც შესაფერისი ეყოლებოდა. სახენათელი, დევისტანა, ხმატკბილა, ჭიქაზე ანგელოზების შემომსხმელი და ეჰე! დაიწყებოდა საღვთო რამერუმეები. ალავერდობა, დამილიე-არ ჩატოვო, დამაცადე, გადი-გამოდი, გაწევ-გამოწევა, დოლ-გარმონობა, ჩონგურ-გალობა და დაფრთხებოდნენ ეშმაკები, ფუი ეშმაკებს და ვინ იცის, რამდენი ხნით?!

გაღმერთდებოდნენ თეთრსპეტაკა ანგელოზები და აამაღლებდნენ ზეცამდე ჭერს.

ურთიერთნდომას მორცხვი მზერის გაპარებით დაუდასტურებდნენ ერთურთს სიძე-პატარძალი და გაიჩარხებოდა უძილო ღამის ტკბილი ნათელი...

აბა, სიყვარული მაშინ იცოდნენ, თუ იცოდნენ! უღალატო, მზერაუსხვისო სიყვარული! დაღამებას დანატრებული ცოლ-ქმარი შეავსებდნენ ერთურთს და შემოდგომის მოლოდინით შეევედრებოდნენ უფალს მემკვიდრის ყოლას.

ცხოვრება რთულია, უფრორე რთული, ვიდრე ჩვენ, მოკვდავთ, ერთი თვალის შევლებით წარმოგვიდგენია. ამ სირთულით მხრებ და წლებდამძიმებული ბეგლარი და ვარვალა თანდათან მიუახლოვდებოდნენ სასრულს:–რაც ვიცხოვრეთ, ხო ვიცხოვრეთ, გოლუაფირო?–დაუსვამდა კითხვას ზამთრის გრძელი ღამისპირით თავგაბეზრებული მოხუცი ბეგლარი ცოლს.

- კი, პატონი, კი, ვიცხოვრეთ კეთილად და ლამაზად, ცუდი არავისთვის გაგვიკეთებია და დასაწყევლადაც არავინ გაგვიმეტებია. როგორც ვართ, ისე უნდა ვყოფილიყავით უთუოდ. ღვთის ნება-სურვილი მგონია ეს და მიტომაც ვარ კმაყოფილი.

- სიკვდილზე რას იტყვი, გოლუაფირო?

- რა უნდა ვთქვა, პატონი, მოვა, როცა უნდა, მოვა და დავხვდებით ჩვენც გამზადებულნი!-უპასუხებდა სევდიანად ვარვალა.

- ნამეტანი სიხარულით ხვდები რაღაცა შენ სიკვდილს!-ირონიულად ჩაუკრავდა ბეგლარი.

- სიხარულით გაზაფხულს ვხვდები, გათენებას და კიდევ, რა ვიცი, რაღაცას, უფრო სწორად, რაღაცის მოლოდინს, კი არ ვიცი ოღონდ რაობა იმ რაღაცის!-იტყოდა სევდიანად ქალი.

გარეთ ითოვებდა, ბაგაში საქონელი დროდადრო დაფშუილებით დაარღვევდა თეთრსევდიან მდუმარებას.

ქოფაკები ათასში ერთხელ შეეხმიანებოდნენ უძალო ყეფით სიცივეს და შორეული მთის უზადო სევდა ჩამოწვებოდა უელექტრონო არემარეში.

- ზოგჯერ, ღამეული ბებერი მდინარების დასარღვევად, ჩონგურის დაკვრას სთხოვდა ქმარი ცოლს. შეუსრულებდა ვარვალა სურვილს. ჩამოიღებდა თუთისტანა ცხენისძუიან სიმჭიმულს ქალი. ჩამოჰკრავდა დამჭკნარი, ცაცხვის ხის ქერქისფერი თითებით და ჩამოიღვრებოდა სასაფლაოს სევდისხმება „ნანა..."

- ერთს გთხოვ, გოლუაფირო, ვიცი, ადრე წავალ მე და დაიბარე, ჩემს მკერდზე დაგასვენონ მერე.

- როდის მერე?

- როცა გარდაიცვლები, ასი წლის მერე, რა თქმა უნდა!

- მაცალე ჯერ გარდაცვალება!

- მე კი გაცლი, ის თუ გაცლის!

- ვინ ის?

- ვინ და, აი, ამ სიმღერის პატრონი და მესაიდუმლე.

პირველად, როგორც ასე ხდება ხოლმე უმრავლესად, ბეგლარი გარდაიცვლებოდა, შემდეგ ვარვალა. ვარვალა ვიღაცას, უფრო სწორად, ახლო ნათესავს, უკიდურეს შემთხვევაში, ახლო მეზობელს დაუბარებდა მეუღლის სურვილს. ისინიც შეუსრულებდნენ დანაბარებს და წვანან ახლა ერთ ლოდქვეშ საუკუნენახევრის წინ მიცვალებული ბეგლარი და ვარვალა.

მათ ფერხთით მოგუგუნე ცაცხვის ხეში მათი სულები მგონია ათრთოლებული.

ჩემს ბავშვობაში, მე და ჩემმა დებმა ეზოს ბოლოში ღაბუა ჩიტი დავასაფლავეთ. უმცროსმა დაიკომ იპოვა ხიდან ჩამოვარდნილი, გაშეშებული ფრინველი. თუნუქისგან სასახლე შევკარით. ბავშვური მონდომებით ვუპატრონეთ. გლოვა-ტკივილით დავასაფლავეთ და მერე დიდი ხანი ვუვლიდით ღაბუა ჩიტის სასაფლაოს. ყვავილებით ვამკობდით და მოგვწონდა თუ გვიხაროდა, საპატრონებელი საფლავი რომ გვქონდა. ეჰ, ჩემო საყვარელო დებო, მაშინ ბედნიერები ვიყავით. სიკვდილი რას გაბედავდა მოახლოებას, ფარად ბებიები და ბაბუები გვედგნენ. ახლა კიდევ, ნამეტანი გაგვიშინაურდა, მრავალი საყვარელი საფლავი გაგვიჩნდა საპატრონოდ.

მე კიდევ, თქვენგან განსხვავებით, იმიტომაც რომ ასაკით უფროსი ვარ თქვენზე, იმ ღაბუა ჩიტის საფლავი სულ მახსოვს. ეზოს უკან რომ ჩავივლი, სულ ჩვენი პატარაობა, თქვენი ბუნჩულა ხელები და ალალი მზრუნველობა მიდგას თვალწინ.

იმ ჩვენი საწყალი ღაბუა ჩიტის საფლავზე კაკლის ხე დავრგე. დიდსევდიანი ხეა კაკალი. ჩვენ რომ არ ვიქნებით ამ ქვეყანაზე, ის კაკლის ხე შეინახავს მოგონებას ჩვენი ბავშვობის პირველი სევდის სასაფლაოზე. აიჭრება ცისკენ, გაშლის ტოტებს და დედაბატონ მზეს შეავედრებს სევდის ნათელიანობას. მერე საიდანღაც მოფრინდება ღაბუა ჩიტი და თქვენი თვალების მზერით შეეთვისება ციսიერ მარადისობას.

ცხოვრება ხომ მიუსაფარი ჩიტივითაა, მობუზული და მშიერი მარად!

კი, მაგრამ, ვეკითხები ჩემს თავს, ეს სევდა რომ არ ყოფილიყო, რომელი გრძნობა დაეუფლებოდა სივრციეთს?

ალბათ ვერცერთი!

მოდით, ისევ სევდას მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ, ემანდ არ დაგვტოვოს სამუდამოდ და არ დაგვრჩეს მერმისი უპატრონოდ! სევდა ხომ ეკლესიის გუმბათზე დარჩენილი ჟამის მარადიული ფიქრი და ოცნებაა...

ან სასაფლაოს რა ეშველება უსევდოდ-ჩვენი სიყვარულისა და ტკივილების უშველებელ სავანეს?..



# ლუარა ჩიტაია



არ გვინდა მისი სახელი მოვიხსენიოთ წარსულში, მაგრამ რეალობას ვერ გავექცევით. მისი ცხოვრება ერთი ადამიანის ძალიან ლამაზ და შინაარსიან ბიოგრაფიად აიკინძა.

ლუარა ჩიტაია დაიბადა 1958 წლის 22 დეკემბერს, ქალაქ ხობში. დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ისტორიის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა: ტურისტმხარეთმცოდნეთა წრის ხელმძღვანელად ხობის მოსწავლეთა რაიონულ სახლში, ხობის ცენტრალური ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფად, ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის აღმზრდელ-მასწავლებლად, ხობის მასწავლებელთა სახლის დირექტორის მოადგილედ, პირველი გურიფულის სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებლად. ხობის №1 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მთავარ სპეციალისტად საქმისწარმოების საკითხებში, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარ სპეციალისტად კადრებთან ურთიერთობის დარგში, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მთავარ სპეციალისტად კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის აღრიცხვისა და კონტროლის საკითხებში. 2009 წლის 1 ივლისიდან მუშაობდა საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილების მთავარ სპეციალისტად საქმისწარმოების საკითხებში.

ლუარა ჩიტაია განსაკუთრებული იყო მეგობრებთან ურთიერთობისას – უღალატო, სიყვარულით სავსე, კარგი რჩევის მიმცემი, თბილი და მოსიყვარულე. ყოველთვის იქ იდგა, სადაც ქვეყნის ჯანსაღი აზრი ყალიბდებოდა. თავმდაბალი, მაგრამ ამავე დროს ამაყი და შინაგანი სულიერი ძლიერებით გამორჩეული. მორჩილი და იმავდროულად საოცრად შემტევი და სამართლიანი; სწორედ ეს არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები განაპირობებდა მის დიდ ადამიანურ ბუნებას, ამიტომაც ასე სასურველი იყო მასთან ურთიერთობა, საჭირო – თანამშრომლობა. სწორედ, ამის გამო დაგვაკლდა იგი ასე ძალიან.

მისი მეგობრები და თანამშრომლები ხშირად გავიხსენებთ მისეულ კეთილშობილებას, სიყვარულს და სათნოებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

---

„შენებრ ლამაზად რომ შეეძლოს
ყველას ცხოვრება,
ალბათ სამოთხე იქნებოდა მთელი
სამყარო.“

ცა აიშალა და ღრუბლები გამოჩნდა, მალე წვიმა წამოვიდა, რომელმაც დიდხანს იდინა...

ბუნება ყოველთვის გრძნობს მოახლოებულ უბედურებას. ყველაფერი განიცდის ადამიანის სიკვდილს.

ლუარა დიდი ბუნების ადამიანი იყო. მისი სული იდუმალი ძაფებით იყო დაკავშირებული ბუნებასთან. უკანასკნელად დატკბა გაზაფხულით. ბოლოჯერ იხილა ბუნების მეჯლისი. სიკვდილზე არც უფიქრია.

ძნელია წარსულში ილაპარაკო ადამიანზე, რომელსაც საოცარი სითბო და სიყვარული შემოჰქონდა ჩვენს ყოველდღიურობაში. მოულოდნელად შეწყდა მისი ცხოვრება. დიდი გულისტკივილი დაგვიტოვა და იმიერ სამყაროში გადაინაცვლა... მუდამ ჩუმად აკეთებდა სიკეთეს. მთელი ცხოვრება უახლოეს ადამიანებზე და ნაცნობებზე ზრუნავდა. გამოირჩეოდა საქმისადმი ერთგულებით, იყო მზრუნველი მეგობარი.

ნეტავ ვის ეკითხება სიკვდილი? მოულოდნელად ეწვია და წაიყვანა იქ, სადაც ერთ დროს ყველა უნ-და წავიდეს. სამწუხაროა ასეთი კარგი ადამიანის ადრე წასვლა ამ ქვეყნიდან. გვინდა ვირწმუნოთ, რომ მისი სიცოცხლე გაგრძელდება იქ, სადაც არა ჭირი, ურვა და მწუხარება, არამედ სიცოცხლე და ცხოვრებაა დაუსრულებელი. ჩვენ კი არასოდეს დაგივიწყებთ, ყვავილებს მოგიტანთ და ლოცვაში მოგიხსენიებთ.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები

---

* * *

ჩვენგან წავიდა კიდევ ერთი სახელოვანი პედაგოგი, ბუნებით, სულიერად მდიდარი პიროვნება, რომელიც ბავშვებისადმი უშურველი სითბოთი, ნიჭით, ღირსებითა და პატიოსნებით გამოირჩეოდა.

„მასწავლებელო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი“, ეს უტყუარი სიტყვებია, ჩვენო კოლეგავ, უბადლო მასწავლებელო, თქვენ ხომ საქმიანად, სიყვარულით ფუსფუსებდით ბავშვებთან. წვრთნიდით მოზარდებს ცოდნით, უნერგავდით ქვეყნის სიყვარულს, ერთგულებას, ნამდვილ პატრიოტებად ზრდიდით მათ. თქვენს მიერ ჩატარებული ღონისძიებები, საინტერესო გაკვეთილები მუდამჟამს იქნება მასწავლებლებისა და მოსწავლეების ცნობიერებაში.

გამორჩეული პიროვნება იყავით. მეგობრობა, კომუნიკაბელურობა, სტუმართმოყვარეობა და ადამიანური ურთიერთობის იშვიათი თვისება თქვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო.

სკოლის თითოეული წევრი მუდამ დანანებით მოიხსენიებს ლუარა ჩიტაიას უპრეტენზიო, პატიოსნებით და ალალმართლობით გასხივოსნებულ ცხოვრებას, რომელსაც დავიწყება არ უწერია.

ნათელში ამყოფოს უფალმა მისი სული, ამინ!

ხობის № 1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

---

## ხსოვნა რამაზ (გუდუნა) სალაყაია

გუდუნა! შენი გარდაცვალება იმდენად თავზარდამცემი იყო შენი საძმოსთვის, რომ იმ ავადმოსაგონარ დღეებში ვერ მოვახერხეთ ორიოდე სიტყვა მაინც გვეთქვა შენზე! შენს მეგობრებს ბედმა გულის ძარღვი კიდევ ერთხელ ჩაგვწყვიტა, ჩვენი მიშიკოს, მტრის ტყვიით მკერდშენგრეული ძმაკაცის დაღუპვით გამოწვეული ტკივილი ჯერ კიდევ არ გაგვნელებია და... შენ გახდი კიდევ ერთი დარდი და სევდა, დაგვემსხვრა ძმობის კოშკი, რომელსაც წლობით ვაშენებდით.

მეგობარო, საოცარი ბიჭი იყავი. უთქმელი, უპრეტენზიო, ალალ–მართალი, ღვთისმოყვარე და მოშიში. ეკლესიაში გალობდი, მარხვას ინახავდი... ყველაფერს ასწრებდი დიდი, სიყვარულით სავსე გულით. ერთად ვჯახირობდით, რაღაცას ვაკეთებდით, რომ ბოლოს რამე დიდი და კარგი შეგვექმნა, ვწვალობდით, ვსწავლობდით და რასაც ვაკეთებდით, კარგად გამოგვდიოდა.

გუდუნა, განგებამ მომავალი წაგართვა, იმედები დაგიმსხვრია, მამით ობლობა არ გაკმარა და...

კიდევ ერთხელ მოვიდა გაზაფხული უშენოდ, კიდევ ერთხელ მოვალთ შენს საფლავთან 22 მარტს შენი დაბადების დღეზე, შენ ხომ რელიგიურ დღესასწაულზე–ორმოც სებასტიანელ მოწამეთა ხსენების დღეს დაიბადე. ახლა ამ დღეს შენი ხსენების დღეც დაემატა, ჩვენთვის ძალზე ტკივილიანი და მძიმე დღე. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ, თებერვალში, შენი წლისთავი გადავიხადეთ. ერთი წელია, რაც შენთან არ გვისაუბრია... ძნელია უშენობა! ყველაზე მწარედ დედაშენთან შეხვედრას განვიცდით. მას ყოველთვის შენს საფლავთან ვხვდებით. შენს სანაცვლოდ ჩვენ გვეფერება, ვწუხვართ. ძალიან ვწუხვართ, მაგრამ...

ძმაო გუდუნა! შენ ცხოვრება გიყვარდა, სიყვარულზე და მომავალზე ფიქრობდი, მომავალზე, რომელიც თურმე არც კი გქონია.

ამბობენ, ღმერთს საუკეთესონი უნდაო, შენც საუკეთესო იყავი და ამიტომაც ნაადრევად წახვედი მარადისობაში.

ძმაო და მეგობარო, ჩვენო გუდუნა, ტკივილით გილოცავთ დაბადების დღეს, მწარესა და ტკივილიანს, მაგრამ შენი სიყვარულითა და მოგონებით გაჯერებულ დღეს. გაჯეროდეს, შენს სახელს კარგი ბიჭის, ლამაზი და



სანდო მეგობრის სახელს სიყვარულითა და სითბოთი შევინახავთ. მიშიკოსა და შენს საფლავთან მისულები ყოველთვის მოგიყვებით ახალ ამბებს, რომლებიც თქვენ ორივეს დაგაინტერესებდათ, დაგელაპარაკებით ჩვენს მომავალზე, სანთლებს აგინთებთ ჩვენი მეგობრობისა და დიდი სიყვარულის წილ!

გილოცავთ შენს დღეს! გვიყვარხარ ძმაო და მეგობარო!..

გიგა, გოგა ბერიშვილები, გიორგი ბუკია, გიგა ხურცილავა.

---

## ჰამლეტ (ჯანგულ) კემულარია



შვიდი უმძიმესი წელი გავიდა იმ საზარელი დღიდან, შვილო, ჯანგულ, რაც ამ ქვეყნიური წუთისოფელი დატოვე და მარადისობაში გადაინაცვლე. გულში მოუშუშებელი ტკივილი და დარდი დაგვიტოვე ყველას–მშობლებს, მეუღლეს, ძმას, დას და ახლობლებს.

ვერა და ვერ შევეჩვიე უშენობას, რას წარმოვიდგენდი თუ გავუძლებდი ასეთ მწუხარებას, ტკივილს, მაგრამ ეტყობა, ესეც განგების ნებაა, მამაშენმა კი ვეღარ გაუძლო და შენთან ყოფნა არჩია. სამი წელია, რაც შენთან ყოფნის ბედნიერება ერგო.

შვილო, დედის დიდო სიყვარულო, შენი თეა გალიდან ხშირად ჩამოდის, სურათებსა და შენს გულზე დაყრილ მიწას ეფერება, სანთლებს გინთებს. ეს ყველაფერი ჩემს გულს მალამოდ ესალბუნება. ვიცი, როგორ გიყვარდათ ერთმანეთი, მადლობის მეტი რა მეთქმის შენი მეუღლის მიმართ. ვაგლახ, რომ ბედნიერება არ დაგცალდათ!

22 მარტი შენი დაბადების დღეა. ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა გადაგეხადა, მაგრამ განგებამ არ გაიმეტა ჩვენთვის ეს სიხარული, სანაცვლოდ დარდი და დიდი ტკივილია ჩვენს ოჯახში.

ჯანგულ, შვილო, უზომოდ გვენატრები ყველას, მენატრება შენი ლამაზი სახის ხილვა, შენი სითბო და ალერსი.

დაბადების დღეს გილოცავ, შვილო.

უზომოდ ვწუხვარ, რომ უბედურმა ბედისწერამ შენი სულის საოხად, შენს სადიდებლად სანთლების დანთება მე მარგუნა წილად.

უფალს შევთხოვ ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. სასუფეველი გაგინათოს!

შენით უბედური დედა.

---

ქ. ხობის №1 საჯარო სკოლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა სკოლის პედაგოგი
ლუარა ჩიტაია
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

## სულთათანა

# რა დრო გავიდა უშენოდ!



სამი წელიწადია ჩვენს შორის აღარ ხარ, ჩემო ძმაო და მეგობარო, ჩემო გოგი! შენი ამქვეყნიდან წასვლით დარჩენილი სიცარიელე ვერავინ შემივსო, დარწმუნებული ვარ ჩემს გულში შენს ადგილს ვერავინ დაიჭერს, ასე იქნება ეს, ვიდრე ცოცხალი ვარ!

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ.

არ ყოფილა ასე. მართალია, ცოცხალ ადამიანს ყველაფერი სჭირდება, მაგრამ სჭირდება ერთია, გრძნობა კი–მეორე. დღე არ გავა ჩემმა გულმა ტკივილით არ მომაგონოს შენი თავი. ის გრძნობა, რომელიც ჩვენს შორის არსებობდა, ოდნავადაც არ განელდა, არ გაფერმკრთალდა, პირიქით, უფრო და უფრო ვგრძნობ, რა ყოფილხარ ჩემთვის (ალბათ, ბევრისთვისაც!).

უშენოდ ფასი არა აქვს ლხინს, დღესასწაულს, უფერულია იუმორი, რადგან შენი ღიმილი და გულიანი ხარხარი არ ალამაზებს მას.

გოგი, ჩემო გოგი! ვცდილობ, ძალიან ვცდილობ, ის, რაც შენი წასვლით დამაკლდა, გიორგისთან შევავსო, შენს ოჯახთან, შენს შვილიშვილებთან ურთიერთობით აღვადგინო, მაგრამ, ვხედავ, არ გამომდის!

შენი შვილიშვილი, შენი სეხნია ძალიან კარგი ბიჭი იზრდება. მჯერა, შენი თვისებები გამოყვება, შენსავით უციმციმებს თვალები, შენსავით შლის ხელებს და ღიღინებს. შენ ხომ ძალიან კარგად მღეროდი, გიყვარდა სიმღერა, ჰოდა, გჯეროდეს, შენი გოგიც იმღერებს!

ხშირად გიგონებს შენი სამეგობრო. აუნაზღაურებელი დანაკლისი ხარ ჩვენთვის. აკლიხარ მთელს რაიონს, შენ ხომ ასე გიყვარდა ხობი! ამიტომაც დარჩი ყოველი ხობელის მოგონებაში, ამიტომ შეგარქვეს ხობის კოლორიტი. მრავალ თაობას ამ სახელით შემორჩები, ჩემო მეგობარო!

შენი ჯანსაღი იუმორით, შენი მახვილგონიერი გამონათქვამებით დიდხანს მოაგონებ თავს შენს ნაცნობ–მეგობრებს, შენს ნათესავებს, შენს შთამომავალთ.

გოგი, შენ კაცურად იცხოვრე, ღირსეულად და საინტერესოდ გაატარე შენი ხანმოკლე სიცოცხლე.

შენი შთამომავლები იამაყებენ შენით, შენი ნათელი ცხოვრება მათ მზის სხივივით გაუნათებს გზას.

უკვე მესამედ მოდის აღდგომა უშენოდ! როგორ გიყვარდა ეს დღესასწაული! ასი კვერცხი უნდა შევლებოთო, იტყოდი! ეჰ, გოგი! აღდგომასაც ვიზეიმებთ, კვერცხებსაც შევღებავთ, მაგრამ უშენოდ, ბიჭო, უშენოდ!

შენს ოჯახში ყველაფერი ისეა, როგორც შენ გინდოდა! შენი ნანი თვალისჩინივით უფრთხილდება შენს ხსოვნას, შენს ოჯახს, შენს შვილებსა და შვილიშვილებს!

გვიყვარხარ ძველებურად და უზომოდ გვენატრები!

მშვიდად იძინე, აქ ყველაფერი ისეა, როგორც შენ გინდოდა! ასე იქნება მუდამ, შენი ძმა გოდერძია ამის გარანტი.

შენი მეგობარი
იმედო ქანდარია.

---

# სოსო შუბითიძე



ორმოცი დღეა, რაც სკოლაში უშენოდ ირეკება ზარი და იწყება გაკვეთილი... დაღვრემილი მოსწავლეები ამაოდ იმზირებიან საკლასო ოთახებიდან და ელოდებიან სოსო მასწავლებლის გამოჩენას, მაგრამ...

უკურნებელმა სენმა უდროოდ მოსპო შენი ლამაზი სიცოცხლე, გამოგაკლო შენს კოლექტივს, მეგობრებს. თუმცა საკუთარი ოჯახი ჯერ კიდევ არ გქონდა, მაგრამ სკოლას შენს ოჯახად, ხოლო თითოეულ მოსწავლეს შენს შვილად მიიჩნევდი. მათი ტკივილი და სიხარული შენი ტკივილი და სიხარული იყო. მათზე მზრუნველობაში ათენ-აღამებდი.

უანგარო მშრომელის, საუკეთესო მასწავლებლის, სამშობლოსა და ერის სიყვარულის, მეგობრობის, მაღალი ზნეობის, სანიმუშო ადამიანის მაგალითად მუდამ დარჩები შენი კოლექტივის, მეგობრებისა და მოსწავლეების გულებში.

14 მარტს შენი მეგობრები შევიკრიბეთ შენს საფლავთან, კიდევ ერთხელ მოგიგონეთ და ღმერთს შევთხოვეთ, რომ სამარადისო სასუფეველში დაამკვიდროს შენი სპეტაკი სული.

არასოდეს დაგივიწყებთ!

საგვიჩიოს საჯარო სკოლის პედაგოგიური,
მოსწავლეთა და მშობელთა კოლექტივები.

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და საქმის წარმოების განყოფილების მთავარი სპეციალისტი
ლუარა ჩიტაია
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---



ხობის მუნიციპალიტეტის სამედიცინო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შპს ხობის ამბულატორიულ–პოლიკლინიკური გაერთიანების დირექტორი
ავთანდილ ლოლუა
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.
დაკრძალვა სამშაბათს, 23 მარტს, სოფელ ხეთაში.

---

ნოჯიხევის №30-ე პროფესიულ ტექნიკური სასწავლებლის ყოფილი თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სასწავლებლის პედაგოგი, პატიოსნებით და პროფესიონალიზმით გამორჩეული, საუკეთესო მეგობარი, შესანიშნავი მამა და ბაბუა
პაპული ლოლუა
და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს და ახლობლებს.



---

პირველი გურიფულის ყოფილი სკოლა-გიმნაზიის პედაგოგიური, მშობელთა და მოსწავლეთა კოლექტივები მწუხარებით იუწყებიან ამავე სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებლის, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნების
ლუარა ჩიტაიას
გარდაცვალებას და მწუხარებაში თანაგრძნობას უცხადებენ მშობლებს, უახლოეს ნათესავებსა და მეგობრებს.

---

ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ყოფილი თანამშრომლის
ლუარა ჩიტაიას
გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# გამოფენა-კონკურსი– „ცხოვრება ომის შემდეგ"

„მედიის განვითარების ფონდის" ინიციატივითა და აშშ-ს საელჩოს დაფინანსებით ამ რამდენიმე დღის წინ გამოცხადდა ნახატების გამოფენა–კონკურსი სახელწოდებით „ცხოვრება ომის შემდეგ". ავტორიტეტულმა ჟიურიმ 20 გამარჯვებული გამოავლინა, სამი მათგანი დასავლეთ საქართველოდან იყო. გასახარი გახლავთ ის, რომ ერთ-ერთი გამარჯვებული ქ. ხობის საერო საშუალო სკოლის „არეას" მეცხრეკლასელი ირაკლი ცხადაია აღმოჩნდა.

ირაკლი თოთხმეტი წლისაა. ხობელია. რუსეთ–საქართველოს ხუთდღიანმა ომმა მოზარდზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო მისთვის იმის გაგება, რომ ამ ომში მისმა მეგობარმა მამა დაკარგა! სწორედ ამ ფაქტმა, ამ დიდმა მწუხარებამ აალებინა ხელში ფუნჯი...

... ცეცხლის ალი ცას სწვდება. იწვის სკოლა, ეკლესია, სოფლის შუაგულში დგას რუსული ტანკი, რომლის ტყვიამფრქვევიდან ტყვიის წვიმა მოდის. შორიახლო დაჭრილ– დახოცილები მშველელს ელიან. წინაპლანზე დგას ქართველი ჯარისკაცი, მარჯვენა ხელში ავტომატი უჭირავს, მარცხენაში ქართული ხუთჯვრიანი დროშა. სახე მკაცრი აქვს, უშიშარი ახალგაზრდა მებრძოლი მზადაა სიცოცხლის ფასად დაიცვას თავისი მიწა–წყალი...





ირაკლი ცხადაიას ამ ნამუშევარმა დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამარჯვებული ნორჩი მხატვრები მიწვეულიქნენ „მედიის განვითარების ფონდის" მიერ გამოცემული წიგნის პრეზენტაციაზე. ამ წიგნში გამარჯვებული ნახატები შევიდა. პრეზენტაციის შემდეგ გამარჯვებულ მოზარდებს ნამდვილი ზეიმი მოუწყვეს: დააჯილდოვეს სერთიფიკატებით, სამეცნიერო ლიტერატურით, ფასიანი საჩუქრებით, ჩაუტარეს ხატვის „მასტერკლასები", ბავშვებმა დაათვალიერეს პარლამენტის შენობა, ტელეკომპანია „საზოგადოებრივი მაუწყებელი", უზენაესი სასამართლო, მათ გულთბილად შეხვდნენ ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

წიგნის პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს მთავრობის წევრები და აშშ ელჩი საქართველოში ბატონი ჯონ ბასი.

კვლავ ახალ-ახალ გამარჯვებებს ველით, თქვენგან „არეას" აღსაზრდელებო!

**მერი აბრამია**

„ახალი სამკუთხედის" რედაქციას გადაწყვეტილი აქვს გაზეთის უახლოეს ნომერში მკითხველს გააცნოს ქ. ხობის ირაკლი შუშანიას სახელობის საერო საშუალო სკოლის „არეას" საინტერესო სასწავლო და შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ.

# ნიჭიერებით გამორჩეული



ანა შამათავა საჯიჯაოს სკოლის (ჯაპიშაქრის უბნის) პირველკლასელია. ის განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა, რაც მან კონკურსში გამარჯვებითაც დაადასტურა.

ასოციაცია „მცოდნელმა" (პრეზიდენტი მ. ქურდაძე) გამოაცხადა კონკურსი „ისწავლე და იხალისე არდადეგებზე", რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლოთ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. ანა დაინტერესდა ამ კონკურსით.

ბათუმში, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში კონკურსის მონაწილეების დაჯილდოება გაიმართა. ანა შამათავა პირველი ხარისხის დიპლომით და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა, თავადაც გაიხარა და ჩვენც გაგვახარა.

ვულოცავთ ანას ამ დაუვიწყარ პირველ გამარჯვებას. ეს ყოფილიყოს საწინდარი მომავალი სიხარულისა და წარმატებებისა, რომელიც ანას წინ ელოდება.

დიანა შამათავა, პედაგოგი

## მილოცვა

### გილოცავ, ძვირფასო ბებო!

ჩემო ლამაზო ბებო–მაყვალა კვირკველია. გილოცავ დაბადების 60 წლისთავს. მიხარია, რომ ასეთი კარგი ბებო მყავს – 4 შვილის და 7 შვილიშვილის აღმზრდელი. გეფერები და ღმერთს ვთხოვ, ბაბუასთან ერთად დიდხანს არ მოგვაკლოს შენი სითბო და სიყვარული.

შენი პატარა შვილიშვილი ანი

### საბა გოგინავას!

ჩვენო სიხარულო, გილოცავთ დაბადების დღეს! ჩვენო სიცოცხლევ, ჯერ მხოლოდ 2 წლისა ხარ! ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების მეგზური.

ჩვენდა გულის გასახარად ჭკვიანი და სასახელო ვაჟკაცი გაზრდილიყავ. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

უფალი იყოს შენი მფარველი!

დედიკო და მამიკო



## სპორტი

# ტურნირი ტრადიციული გახდება

ხობის №2 საჯარო სკოლის სპორტდარბაზში ერთი კვირა მიმდინარეობდა ხობის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრება როგორც გუნდურ, ასევე პირად პირველობებში გაიმართა.

შეჯიბრების გახსნას დაესწრო და მონაწილეებს სიტყვით მიმართა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბატონმა იგორ ტყებუჩავამ. მან თითოეულ მონაწილეს წარმატება უსურვა.

გუნდურ პირველობაში 11 საჯარო სკოლის გუნდი მონაწილეობდა. თითოეულ გუნდში 3 ჭაბუკი და 2 გოგონა ირიცხებოდა.

ჩემპიონის ტიტული ღირსეულად მოიპოვეს ხობის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი ნანა ქვარაია; ფიზკულტურის მასწავლებელი პაატა ზარანდია) მოსწავლეებმა, რომელთაც პირველი ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი გადაეცათ.

მეორე ადგილზე გავიდა ჭალადიდის საჯარო სკოლის (დირექტორი ირმა ხარშილაძე; ფიზკულტურის მასწავლებელი პაატა ხვიჩია) გუნდები, რომელთაც ასევე გადაეცათ თასი და სიგელი.



მესამე ადგილი დაიკავა შუა ხორგის საჯარო სკოლის გუნდმა (დირექტორი გულნარა ტაბაღუა, ფიზკულტურის მასწავლებელი ანატოლ ჩარტია), რომელიც ასევე მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასით და სიგელით დაჯილდოვდა.

გოგონათა შორის პირად პირველობაში 14 მოსწავლე მონაწილეობდა, შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლემ თამუნა თითმერიამ ყველა მეტოქეს ადვილად სძლია და პირველი ადგილი დაიკავა, მას თასი და სიგელი გადაეცა. მეორე ადგილზე ასევე შუა ხორგის საჯარო სკოლის მოსწავლე თეონა ლატარია გავიდა, მესამე ადგილი ხობის №1 საჯარო სკოლის (დირექტორი ქეთევან გაბისონია, ფიზკულტურის მასწავლებელი ლაშა სიჭინავა) მოსწავლეს ანა საჯაიას ერგო. ორივენი სიგელებით დაჯილდოვდნენ.

30 ჭაბუკი იღებდა მონაწილეობას პირად პირველობაში, სადაც ყველა მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონი გახდა ანრი მამფორია, ქვალონის საჯარო სკოლის (დირექტორი ლუარა ყალიჩავა, ფიზკულტურის მასწავლებელი რომან მორგოშია), რომელიც თასით და სიგელით დაჯილდოვდა. ასევე სიგელებით მეორე და მესამე ადგილზე გასული ჭალადიდის საჯარო სკოლის მოსწავლეები ძმები თორნიკე და გიორგი ხურცილავები დაჯილდოვდნენ.

ღონისძიება ორგანიზებული და დაფინანსებული იყო ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ (უფროსი ჯულიეტა ქვარაია). აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების მონაწილეებმა ახალშეძენილ საჩოგბურთო მაგიდაზე იასპარეზეს, რომელიც სპეციალურად ამ შეჯიბრებისთვის იქნა შეძენილი.

საჯარო სკოლების პირველობა ტრადიციული გახდება. ტურნირის ორგანიზატორებს სურთ, რომ შემდგომში ასეთ ღონისძიებაზე მეტი საჯარო სკოლების გუნდებმა მიიღონ მონაწილეობა...

ლევან ლემონჯავა.

# პირველი გურიფულის სათემო კავშირის გამგეობის

## განცხადება

სოფელ პირველ გურიფულში, სასაფლაოს ტერიტორიაზე, წმინდა ივლიტასა და კვირიკეს სახელობის ეკლესია შენდება, გთხოვთ, შეეწიოთ ამ წმინდა საქმეს.

ჩვენი ანგარიშის ნომერია: 36050005 ს/კ 244691623 სახალხო ბანკის ხობის ფილიალში ბანკის კოდი 220101465.

სათემო კავშირის გამგეობა.

# კოლხეთმა კვლავ გაგვახარა!

28 თებერვალს ხობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა XXI ეროვნული ჩემპიონატის I ლიგის ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი ფეხ-ბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მარტვილის „მერანისა" და ხობის „კოლ-ხეთის" ფეხბურთელები.

ორთაბრძოლა უშეღავათო გამოდგა.

თავდაპირველად თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. პირველი ნახევარი უშედეგოდ 0 : 0 დამთავრდა.

შესვენების შემდეგ მოედანზე სულ სხვა მდგომარეობა ვიხილეთ. ორივე გუნდმა არენაზე „ცეცხლი დაანთო", 45 წუთის განმავლობაში არ შენელებულა თამაშის ტემპი. მაგრამ ხობელმა ფეხბურთელებმა გააზრებული და შემტევი თამაშით დაჯაბნეს სტუმრები. 88-ე წუთზე ოთარ ფიფიამ გამარჯვების გოლი გაიტანა.

გაიმარჯვა ხობის „კოლხეთმა" ანგარიშით 1 : 0.

საუკეთესო მოთამაშედ ორივე გუნდის მეკარეები დასახელდნენ. ეს გამარჯვება ჩვენმა გუნდმა 8 აგვისტოს რუს ოკუპანტთა მიერ დაღუპულ ხობელ რეზერვისტთა ხსოვნას მიუძღვნა.

ჩვენმა საყვარელმა გუნდმა „კოლ-ხეთმა" კვლავ დიდი სიხარული მოგვგვარა. 13 მარტს მან ახალციხელ ფეხბურთელებს უმასპინძლა.

იმ დღეს კოკისპირულად წვიმდა. საფეხბურთო მოედანზე წყალი იდგა. ჭირდა თამაში, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა თავი არ დაზოგეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს. მათ სტუმ-რებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს და სამი ბურთი გაუტანეს. ფეხბურთის მოყვარულმა საზო-გადოებამ ისინი მხურვალე აპლო-დისმენტებით დააჯილდოვა.

მეტოქეთა კარი ორჯერ აიღო ფეხბურთელმა ოთარ ფიფიამ, ერთხელ– დავით კუტალიამ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „კოლხეთის" გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ



იგორ ტყებუჩავას და საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ მამუკა ჭოხონელიძეს. მათი დახმარებით გახდა შესაძლებელი გუნდის წინ მდგარი პრობლემების მოგვარება, აგრეთვე, ფეხბურთელთა დასვენების ორგანიზაცია ქობულეთში, რამაც განაპირობა გუნდის გამარჯვება. ამისთვის მათ მადლობას მოვახსენებ. მინდა დავარწმუნო ხობის მუნიციპალიტეტის სპორტული საზოგადოება, რომ კლუბ „კოლხეთის" ხელმძღვანელობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა მიმდინარე სეზონში ჩვენმა გუნდმა კარგი თამაში აჩვენოს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

ი. ჭანტურია,

კლუბ „კოლხეთის" დირექტორი.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით
დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

„ახალი საკმუთხედის" გამომცემელი
შპს „ხობის მოამბე"
დირექტორი ბეჟან ნადარაია
მორიგე რედაქტორი
ნანი კილასონია
პასუხისმგებელი მდივანი
მერი ლაგვილავა
ფოტორეპორტიორი
ირაკლი შონია
დამკაბადონებელი
ჯულიეტა ლატარია
მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1
ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72
გამოდის კვირაში ერთხელ
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა
შპს „ხობის მოამბე"-ში
დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.ვ.პ."
გამომცემლობა „კოლორში"
თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20